პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979
წელი
პარასკევი
4
მაისი
№ 104
(17449)
□
ფასი
2 კაპ.

ბავშვის სახელით

ყველა ბავშვი ამ ქვეყნად ბედნიერებისათვის იბადება. ბედნიერება ჰაერივით სჭირდება ჩვენი პლანეტის ერთნახევარ მილიარდ მოზარდს, ყველა რასისა და ეროვნების პატარა მოქალაქეს.

სურათზე: თბილისის № 30 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.
ს. კილაძის ფოტო.

ყველა ბავშვს აქვს ბედნიერების უფლება, — ასე ჩაიწერა „ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ რომ მიიღო ოცი წლის წინათ.

წლევანდელი, 1979 წელი ამ ორგანიზაციამ ბავშვის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ეს იმიტომ, რომ შემოწმდეს, როგორ განხორციელდა სინამდვილეში დეკლარაციაში ჩაწერილი პრინციპები, რომ კიდევ ერთხელ მიეპყრას სახელმწიფოთა მეთაურებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება თანამედროვეობის ერთ-ერთ უმწვავეს სოციალურ პრობლემას — ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„კაცობრიობა ვალდებულია მისცეს ბავშვს ყველაფერი საუკეთესო, რაც მოეპოვება", — ამბობს დეკლარაცია.

მაგრამ დღესდღეობით დედამიწაზე მეოთხედ მილიარდამდე ბავშვს შიმშილი და ნიადაგ უჭმელობით გამოწვეული დაავადება სტანჯავს;

7,5 მილიონი ბავშვი დაიღუპა ამ ბოლო ათი წლის მანძილზე მარტო სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში სამედიცინო დახმარების უქონლობის გამო;

მსოფლიოს 300 მილიონი ბავშვი სკოლაში ვერ წასულა;

8-14 წლის 54 მილიონი ყმაწვილი უმძიმესი ჯაფით შოულობს ლუკმას.

ჩვენს სახელმწიფოს ბედნიერი ბავშვობის ქვეყანას უწოდებენ. „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს", თქვა ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ახალი ქვეყნის მშენებლობის გარიჟრაჟზე, და მას აქეთ ეს სიტყვები, მოზარდი თაობისადმი ეს სიყვარული ჩვენი ცხოვრების წესად, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივ ნორმად იქცა.

პირველი სიტყვა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისაგან ტელევიზიით რომ მოვისმინეთ ახალი წლის პირველსავე დღეს, ბავშვებისადმი იყო მიმართული.

ბავშვებს ჩვენ კაცობრიობის გაზაფხულს, ჩვენი ცხოვრების ყვავილებს ვუწოდებთ. მხოლოდ მათთვის გვინდა, მათთვის გვემეტება ყოველივე საუკეთესო, რაც გაგვაჩნია.

მათში ველოლიავებით, ვეფერებით ჩვენს ოცნებებს, რომელთა განხორციელება თავად ვერ მოვასწარით. ამ პაწია ხელებს უნდა გადავაბაროთ მომავალში საჭე, რომელიც ხელთ გვიპყრია, კაცობრიობის გარჯითა და გენიით მოპოვებული ყველა სიკეთე.

არ არსებობს არაფერი, ბავშვის სიცილზე უფრო საამური, ისევე, როგორც არ არსებობს ბავშვის სატკივარზე მწვავე სატკივარი.

ახლა მილიონობით ბავშვი დაიღუპა, დასახიჩრდა, დაობლდა ვიეტნამში. განა შეიძლება ადამიანმა ეს იცოდე და თავი ბედნიერად იგრძნო, თუნდაც თავად შენ უშფოთველი ზეცა გადგეს თავს და შვილის ბედნიერებით გაცისკროვნებული სახე შემოგცქეროდეს?

ბავშვის წელიწადი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის, მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობის წელიწადია და ამ სოლიდარობას საფუძვლად წმიდათაწმიდა მიზანი უდევს — ბრძოლა ბავშვთა სოციალური ჩაგვრისა და რასობრივი დამცირების წინააღმდეგ, ომის საშინელების, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

უპირველესად ასეთ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ბავშვის საერთაშორისო წელიწადს.

ყველა ბავშვს აქვს ბედნიერების უფლება, — ნათქვამია „ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში". ჩვენს ქვეყანაში ეს უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით.

ჩვენში ბავშვი ჯერ დაბადებულიც არ არის, რომ მასზე, მის ჯანმრთელობაზე სახელმწიფო უკვე ფიქრობს და ზრუნავს. მილიარდობით მანეთი იხარჯება დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის. საბჭოთა სამშობლო გულუხვად აძლევს ბავშვებს ყველაფერს, რაც მათი ჯანმრთელობის გაკაჟებას, ნიჭისა და უნარის წარმოჩენას სჭირდება.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი კომისიის პირველი სხდომა, რომელმაც მოისმინა და დაამტკიცა სამუშაო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით კომისია სისტემატურად განიხილავს, თუ როგორ სრულდება მეათე ხუთწლედის დავალებები სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და განვითარებისათვის, საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების გაზრდის, მისი ხარისხის ამაღლებისათვის.

ახლა სარედაქციო ფოსტას უხვად მოაქვს ინფორმაციები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ბავშვის წლისადმი მიძღვნილი მუსიკალური კვირეულების, თემატიკური საღამოების, სპექტაკლებისა თუ სხვა სახის ღონისძიებათა შესახებ. საექსპლოატაციოდ აბარებენ ბავშვთა სპეციალიზებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს. თბილისში ახლახან გაიხსნა ბავშვთა ფეხსაცმლის ატელიე, ტანსაცმლის ატელიე — „დედა-შვილი". ასეთივე დაწესებულებები შეემატა ბათუმს, ქუთაისს, სოხუმს, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს.

მნიშვნელოვანი შენაძენია თბილისის სადღეღამისო ბაგა-ბაღი მეტყველებადაქვეითებული ბავშვებისათვის, რომელსაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ემსახურებიან.

წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვთა ყოფა-ცხოვრების ყველა საჭირბოროტო საკითხის მოგვარებას. აქედან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის ზრდა-განვითარება. მათი ნაკლებობა კვლავ მწვავედ იგრძნობა ჩვენს რესპუბლიკაში. დღეისათვის ბაგა-ბაღების სიკეთით მსურველთა მხოლოდ მეოთხედი სარგებლობს. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად — 15 პროცენტით ჩამორჩება საკავშიროს. შარშან რესპუბლიკაში კვლავ ვერ შესრულდა ბაგა-ბაღების მშენებლობის გეგმა. რამდენ ბავშვს მოაკლდა აუცილებელი სკოლამდელი განათლება, რამდენ დედას შეეკრა ხელ-ფეხი საზოგადოებრივ შრომაში ჩასაბმელად!

„კომუნისტის" რედაქციას მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ თავის საგუშაგოს აწესებს რესპუბლიკაში სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე. ამიერიდან გაზეთში სისტემატურად გამოქვეყნდება ცნობები იმის შესახებ, თუ სად და როგორ მიმდინარეობს ბაგა-ბაღების მშენებლობა, ვისი გულგრილობისა თუ დაუდევრობის გამო ჭიანურდება იგი და აუთვისებელი რჩება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები.

„ბავშვებისათვის ჩვენ ყველანი ვაგებთ პასუხს!" — ითქვა თბილისის XXXVII პარტიულ კონფერენციაზე.

დიდი და ყოვლისმომცველია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ზრუნვა მომავალი თაობისათვის, მაგრამ ეს თითოეულ ჩვენგანს არ ათავისუფლებს იმ დიდი საზრუნავისაგან, იმ მოქალაქეობრივი დაინტერესებისაგან, ყოველი ბავშვის, ყოველი მოზარდის ბედისადმი რომ უნდა ვიჩენდეთ.

აღვზარდოთ მოქალაქე — პატრიოტი, ინტერნაციონალისტი, კომუნისტური იდეალებისათვის თავდადებული რაინდი.

აღვზარდოთ რწმენითა და სიმართლით!

აღვზარდოთ მაღალი მომთხოვნელობით! მაგალითი კი თავად მივცეთ, საკუთარი ცხოვრებით.

აღვზარდოთ სინაზით! ვიზრუნოთ არა მარტო საკუთარ შვილზე, არამედ შვილის მეგობარზე, მეზობლის შვილზე, სადმე შემთხვევით შეხვედრილ პატარა ადამიანზე. იმიტომ, რომ ბავშვი სხვისი არ არსებობს.

ვემსახუროთ საქმეს, ერთხელ რომ ავირჩიეთ, ერთგულად, თავდადებით. გვახსოვდეს: ქვეყნად ყველა კეთილი საქმე ბავშვისთვის კეთდება.

უპირველესად — ბავშვისათვის, ბავშვის სახელით.

კვლევა ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 3 მაისი (საქდესი). ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ ფრენას „სალუტ-6" — „სოიუზ-32" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით.

დღეს ეკიპაჟის სამუშაო დღის პროგრამაში დაგეგმილია სამედიცინო გამოკვლევა. დღის პირველ ნახევარში სისხლის მიმოქცევის სისტემის გამოკვლევა შეასრულა მეთაურმა, ბორტინჟინერი ეხმარებოდა მას და კავშირს ამყარებდა სამედიცინო უზრუნველყოფის ჯგუფთან.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით ეწყობა მორიგი ექსპერიმენტი დანადგარ „კრისტალზე". ექსპერიმენტის მიზანია ნახევარგამტარი მასალის — ინდიუმარსენიდის მონოკრისტალის მიღება.

ბიოლოგიური კვლევის პროგრამით გრძელდება მთელი რიგი ექსპერიმენტები უწონობის მდგომარეობაში სხვადასხვა მცენარეების ზრდა-განვითარების შესასწავლად. კოსმონავტები „რეგულარულად" რწყავენ მცენარეებს, ცვლიან ატმოსფეროს კონტეინერებში, ატყობინებენ სპეციალისტებს როგორ მიმდინარეობს ექსპერიმენტები, აფიქსირებენ ცალკეულ ნიმუშებს, რომლებსაც შემდეგ ჩამოიტანენ დედამიწაზე ლაბორატორიის პირობებში შესასწავლად.

საპირველმაისო დღესასწაულზე ეკიპაჟი ისვენებდა. სატელევიზიო სეანსების დროს კოსმონავტები შეხვდნენ ოჯახებსა და მეგობრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ფრენის მართვის ცენტრში. კომპლექსს გადასცეს რეპორტაჟი წითელ მოედანზე საპირველმაისო დემონსტრაციის შესახებ, სადღესასწაულო „ცისფერი ეკრანისა" და სპორტული ასპარეზობის ფრაგმენტები.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ. კვლევის პროგრამა, დედამიწისირგვლივ ორბიტაზე წარმატებით სრულდება.

როგორ სრულდება სოციალისტური ვალდებულებები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაციები, რომლებშიც გაშუქებული იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროსა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მაჩვენებლების კომპლექსის შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაცია, აგრეთვე 1979 წლის პირველ კვარტალში სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების, კაპიტალური მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის შეჯიბრების, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისათვის შეჯიბრების შედეგები.

ინფორმაციები ამ საკითხებზე გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ქართველიშვილმა, საქართველოს სსრ კვების, მსუბუქი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის მინისტრებმა რ. კონცელიძემ, გ. გამცემლიძემ, ო. ლოლაშვილმა, ნ. მემარიაშვილმა, რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ზ. დვალმა.

რესპუბლიკური კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჩითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი რ. ბასარია, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი და სხვები.

სხდომის შედეგები შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მსვლელობაში არცთუ ურიგო შედეგებია მიღწეული. პირველ კვარტალში გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 16,1 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მატების ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,5 პროცენტი შეადგინა კვარტალური დავალებით გათვალისწინებული 5,5 პროცენტის ნაცვლად. შესრულდა ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების ვალდებულებანი. შრომის ნაყოფიერების დონე 1978 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით 5,2 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 4,2 პროცენტის ნაცვლად.

ამ ფაქტორის მეოხებით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის საერთო მატების თითქმის 85 პროცენტი, რაც შეესაბამება წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა დონეს.

რესპუბლიკაში სისტემატურად მაღლდება პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დონე და ხარისხი.

პირველ კვარტალში ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიეკუთვნა 147 სახეობის ნაწარმს. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წონამ წარმოების საერთო მოცულობაში 17,5 პროცენტი შეადგინა, რაც 2,5 პუნქტით აღემატება 1979 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებებს.

მთლიანად შესრულდა მეცხოველეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის შესყიდვის დავალება. არ ნელდება საგაზაფხულო კულტურების თესვის სწრაფი ტემპი. ათვისებულია 3 პროცენტით მეტი კაპიტალური დაბანდებანი გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

ამავე დროს სხდომაზე აღინიშნა, რომ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რათა რესპუბლიკამ უთუოდ შეასრულოს მიმდინარე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. სხდომაზე მოწვეული იყვნენ ისეთ საწარმოთა ხელმძღვანელები, როგორიც არის თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი", ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი", კასპის ცემენტ-შიფერის ქარხანა, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა და სხვები, რომლებიც ჩამორჩნენ გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას რეგულარულ კონტროლს უნდა უწევდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დარგობრივი განყოფილებები საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად. ანალოგიურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ პარტიის საოლქო, რაიონული კომიტეტებიც.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ კვების, მსუბუქი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროებში წარმოებს მნიშვნელოვანი მუშაობა, რათა მიაღწიონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს. კოლეგიათა წევრები პასუხს აგებენ კონკრეტული მაჩვენებლების მიღწევისათვის, განსაზღვრავენ მინდობილ უბანზე ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს, ცნობებს ამის შესახებ რეგულარულად აწვდიან სამინისტროების კოლეგიებს.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ განხილულ საკითხებზე შეიმუშავა შესაბამისი წინადადებანი. (საქინფორმი).

შეჯიბრება ძალას გვმატებს

სოციალისტური შეჯიბრება ტრადიციულად ადამიანთა კოლექტიური აღზრდისა და შრომითი მიღწევების მძლავრი ბერკეტი გახდა. ამის მაგალითია ჩვენი კომბინატის ყოველდღიური საქმიანობა. საწარმოში სოციალისტური შეჯიბრება გაშლილია ყველა საამქროში, ბრიგადაში, ცალკეულ მშრომელთა შორის. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ, რამდენჯერმე დავიმსახურეთ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, ხოლო 1978 წლის სამ კვარტალში ზედიზედ მოვიპოვეთ სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მეათე ხუთწლედში მთავარ მიზნად პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება დავისახეთ. ამჟამად მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა საავეჯო საამქროს კოლექტივი, რომელსაც შ. სვანიძე ხელმძღვანელობს. ჩვენმა კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ოთხი თვისა — 25 აპრილისათვის. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დავამზადეთ ათიათასობით მანეთის მაღალხარისხოვანი ავეჯი.

ს. მოსესოვი,
ბათუმის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის დირექტორი.

ხუთწლედების სიკეთე

ტრაქტორი — ძეგლი!

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. სარიშვილმა ინტერვიუ მისცა „კომუნისტის" კორესპონდენტს.





სოფელ მალაროსთან აკაციების ხეივანში კვარცხლბეკზე წამომართულა ხარკოვის ქარხანაში გაკეთებული ოთხთვალა ტრაქტორი და თითქოს ღრმა ფიქრს მისცემია. დადუმებულა მისი ძრავა, ერთ დროს პირველმა გამაყრუებელი გუგუნით რომ აახმიანა ველ-მინდვრები...

ჰაი დედასა, „ხეტეზევ", გახსოვს, სიღნაღის რაიონში ტაშფანდურით რომ შემოგიყვანეს? „რკინის ხარი" შეგარქვეს და შენს სანახავად საიდან აღარ მოდიოდნენ... იქნება დაკარგულ დიდებაზე ფიქრობ და დარდობ? იქნებ ნატრობ ძველებურად აგიძგერდეს გული, რომ ჩვეული თავმომწონებით ისევ გადააწვინო ბელტი-ბელტზე, დაფარცხო და დათესო. მაგ ნატვრას შეგისრულებდა კაცი, მაგრამ მეათე ხუთწლედში შენი შრომა-გარჯა რომ ძალიან მცირე იქნება! ნუ გეწყინება და მაშინ ვარგოდი, როცა რამდენიმე ღვინია ხარის უღელი დაიდგი, ახლა კი...

ახლა შენს მიერ გავლებულ კვალში უძლიერესი ტრაქტორები ჩადგნენ, მათი მუშაობის დროს მიწა ზანზარებს, გულაღმა დასცეს ის ყამირი და ეკალ-ბარდიანი ადგილები, შენ რომ ვერ მოერიე.

— მოკლედ, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ის გზა, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ გაიარა ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობიდან მსხვილ ინდუსტრიულ სასოფლო-სამეურნეო სოციალისტურ მეურნეობამდე?

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ რევოლუციამდელ საქართველოში მხოლოდ ჩამორჩენილი, წვრილი, კერძო, დაქუცმაცებული მეურნეობები გვქონდა. მთელ მის ტექნიკურ აღჭურვილობას 7 ათასი ხის გუთანი, 163 ათასი ხის კავი, 18 ათასი რკინის გუთანი, 55 ათასი ხის და 3 ათასი რკინის ფარცხი შეადგენდა. 1913 წლისათვის მარცვლეული კულტურების საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი 5,2-6 ცენტნერს არ აღემატებოდა. გლეხი დღენიადაგ მიწას ებრძოდა და შრომის საფასურსაც კი ვერ ღებულობდა...

ასეთი მემკვიდრეობით შეაბიჯა ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოეთის დიდ ოჯახში. ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის თანდათანობით განხორციელებამ წელში გამართა ქართველი კაციც. წვრილი გლეხური მეურნეობები კოლექტიურ მეურნეობად გაერთიანდა და დაიწყო ინდუსტრიულ რელსებზე გადასვლა.

საქართველოში პირველად 1928 წელს ჩამოყალიბდა ბორჩალოს (დღევანდელი გარდაბნის), ყვარლის და ლაგოდეხის სატრაქტორო კოლონები, რომლებსაც სოფლის კოოპერაცია ხელმძღვანელობდა. ერთი წლის შემდეგ კოლონების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მოეწყო 18 სარემონტო სახელოსნო. ეს იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მასობრივი მშენებლობის პირველი ეტაპი. დღევანდელ მარნეულში, აგრეთვე აგარასა და აბაშაში პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ჩამოყალიბდა. მათ განკარგულებაში იყო 133 ტრაქტორი (1425 ცხენის ძალით). დღის წესრიგში დადგა ამ სადგურების ტექნიკური აღჭურვისა და წარმოების ორგანიზაციის კიდევ უფრო გაუმჯობესების საკითხები. მართლაც, ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები — კავი, ჩუთი და ბარი სატრაქტორო გუთნებით, ნამგალი და ცელი კი რთული სამკალი მანქანებით და კომბაინებით შეიცვალა. თუ 1921 წელს სოფლის მეურნეობის ძირითადი სამუშაოები არ იყო მექანიზებული, 1940 წლისათვის 30-მდე პროცენტი მანქანებით სრულდებოდა.

ამ სადგურებმა სოფლის მეურნეობას დიდი სიკეთე მოუტანა. 1958 წელს მოხდა მათი რეორგანიზაცია. რესპუბლიკის 1137 კოლმეურნეობამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაგან 69.839 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეისყიდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა, თანამიმდევრულად ხორციელდება ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის კურსი. განვლილ პერიოდში ძირითადი საწარმოო ფონდები რესპუბლიკაში 2,9-ჯერ გადიდდა, 1,7-ჯერ გაიზარდა მანქანა-ტრაქტორთა პარკი, გაუმჯობესდა მათი ხარისხობრივი შემადგენლობა — სპეციალური და მცირე მექანიზაციის ძრავების საერთო სიმძლავრემ 1,5 მილიონ ცხენის ძალას გადააჭარბა.

— როგორი სურათი გვექნებოდა, თუ შევადარებდით პირველი და მეათე ხუთწლედების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას?

— სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღებიდან 50 წელი გავიდა. დროის ამ მონაკვეთში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გიგანტური ნაბიჯები გადავდგით წინ. მარტო სოფლის მეურნეობაში ტრაქტორების რიცხვი 21-ჯერ გაიზარდა, მათი საერთო სიმძლავრე კი — 65-ჯერ. მსოფლიოში პირველად საქართველოში დაინერგა ჩაის პლანტაციების მექანიზებული დამუშავება. შეიქმნა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები „საქართველო" და „ჩა-900". ახლოა ის დღე, როცა ჩაის მოვლა-მოყვანა და სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მთლიანად მექანიზებული იქნება.

რაც შეეხება ქიმიზაციას, რესპუბლიკაში მინერალური სასუქების გამოყენება 1930-1932 წლიდან დავიწყეთ. სამამულო ომის წინა წლებში გამოვიყენეთ 100 ათასი ტონა მინერალური სასუქი. ახლა ჩვენი მეურნეობები წლიურად 860 ათას ტონას ხმარობენ. საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე შეტანილი სასუქების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში მესამე ადგილზეა.

მოსავლიანობის გაზრდისათვის აუცილებელია აგრეთვე შხამ-ქიმიკატები, რომლებსაც სარეველებისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ვხმარობთ. ასეთი პრეპარატები ყოველწლიურად 29 ათას ტონამდე იხარჯება. მელიორაციასთან ერთად ორი ფაქტორის — მექანიზაციისა და ქიმიზაციის ეფექტიან გამოყენებაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაცია.

— რას გვეტყოდით სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა და სპეციალისტთა კადრების მომზადების შესახებ?

— მექანიზატორთა პირველი გამოშვების თარიღად საქართველოში 1925 წლის აგვისტო ითვლება. ეს ის დროა, როცა კ. მ. ამირაჯიბის (იგი საქართველოს პირველ მექანიზატორად უნდა ჩაითვალოს) ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილი სატრაქტორო კურსები ოცდაერთმა მსმენელმა დაამთავრა.

1919-1920 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან გაიხსნა აგრონომიული განყოფილება და შეიქმნა სოფლის მეურნეობის მექანიკის კათედრა. 1929 წელს ამ განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მომდევნო წლიდან ამ ინსტიტუტში კ. ამირაჯიბის ინიციატივით მუშაობას შეუდგა მექანიზაცია-ინდუსტრიალიზაციის ფაკულტეტი და სარემონტო ავტო-სატრაქტორო საქმის კათედრა. ამით დასაბამი მიეცა ჩვენში სოფლის მეურნეობის საინჟინრო უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადებას.

თუ მაშინ რესპუბლიკაში ყოველწლიურად 60-70 ინჟინერ-მექანიზატორი მზადდებოდა, ახლა უმაღლეს სასწავლებლებს 300-ზე მეტი ინჟინერ-მექანიზატორი და ინჟინერ-ელექტრიკოსი ამთავრებს, 8 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი კი 500-600 საშუალო ტექნიკური განათლების სპეციალისტს უშვებს. ბევრ მექანიზატორს ამზადებს აგრეთვე რესპუბლიკის პროფტექნიკური, სახკომსასოფლტექნიკის სასწავლო კომბინატი და სხვა სასწავლებლები. მათ შორის მრავალია გოგონა.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ითქვა, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და კიდევაც გახდება დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა! რა წვლილი შეაქვს სახკომსოფლტექნიკას ამ საშვილიშვილო საქმეში?

— ამ ისტორიულმა პლენუმმა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ხუთი ძირითადი პრობლემა დასახა. აქედან ორი — საკვების დამზადება და ფერმების მექანიზაცია — სახკომსოფლტექნიკის ღვიძლი საქმეა. ჩვენმა მექანიზატორებმა და სპეციალისტებმა ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს.

მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 6.621 ცალი სილოსის ასაღები კომბაინი, სათიბელი და სათიბელ-საქუცმაცებელი, ფოცხი და წნეხ-ამკრეფი. წლეულს კიდევ 2361 ასეთ მანქანას შემოვიტანთ. თუ ამ ტექნიკას რაციონალურად გამოვიყენებთ, საკვების წარმოება ორჯერ და მეტად გაიზრდება.

ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოთა პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება. ბოლო სამ წელიწადში, ასეთ ფერმებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ავტოდარწყულების, საკვების დარიგების და შენობიდან ნაკელის გატანის მექანიზაცია ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა, ელექტრო-მექანიკური წველისა — 2-ჯერ, კომპლექსური მექანიზაციისა კი 2,5-ჯერ. მეღორეობის ფერმებში ავტოდარწყულების, საკვების დარიგებისა და შენობიდან ნაკელის გატანის მექანიზაცია შესაბამისად 1,8; 2,5; 1,8-ჯერ ამაღლდა, მეფრინველეობაში კი სამივე სახეობაში კომპლექსური მექანიზაციის ჩათვლით 1,4-ჯერ გაიზარდა. ამჟამად 1975 წელთან შედარებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა სამჯერ გადიდდა, ტექმომსახურებისა კი — 5,5-ჯერ.

ვიბრძვით და ვიღვწით სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ძეგლად აღმართული ტრაქტორი, რომელმაც 1924 წელს პირველი კვალი გაავლო სიღნაღის რაიონში; მოსავლის ასაღებად გასული ჩაის საკრეფი მანქანები — „ჩა-900" (წალენჯიხის რაიონი); მიწის მექანიზებული დამუშავება გარდაბნის რაიონში.

ახალგაზრდა მეცხოველეთა მიჯნები

ლენტეხი, 3 მაისი. (საქინფორმის კორ.). „საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას — ახალგაზრდობის ზრუნვა" — ამ დევიზით გაიმართა რაიონში ახალგაზრდა მეცხოველეთა შეკრება.

საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუნავამ დამსწრეთ მოუთხრო რაიონის მშრომელთა წარმატებებზე, რომლებსაც მათ მიაღწიეს 1978 წელს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გაზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ამ მიღწევებისათვის რაიონი დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა ამოცანები აქვთ დასახული რაიონის მშრომელებს მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის და თქვა, რომ ამ მიჯნების ვადამდე მიღწევისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ახალგაზრდა მეცხოველეებმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. [illegible] რაიონის ახალგაზრდა მეცხოველეებს მეცხოველეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის გადასცა ჯილდოები, რომლებიც დააწესეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციამ.

საქართველოს ალკკ ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩარკსელიანმა და შეკრებაზე გამოსულმა ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა ნ. ხაბულიანმა, ლენტეხის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ო. ლიპარტელიანმა, სასაშის საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ტ. ონიანმა და სხვებმა თქვეს, რომ ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ მაღალ ჯილდოს, რომელიც ლენტეხის მშრომელებს მიენიჭათ თავდადებული შრომისათვის.

შეკრების მონაწილეებმა აიღეს ახალი გაზრდილი ვალდებულებანი ხორცისა და რძის წარმოების შემდგომი გაზრდისათვის, და გადაწყვიტეს 7 ნოემბრისათვის შეასრულონ სახელმწიფოსათვის ამ პროდუქციის მიყიდვის წლიური დავალება.

შეკრებაზე მიიღეს მიმართვა რაიონის ყველა მეცხოველისადმი თავიანთი წვლილი შეიტანონ ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებებისა და ვალდებულებების უთუოდ შესრულების საქმეში. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

უკუკავშირის ძალა

▲ სამშენ მასალათა კომბინატი — საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული ▲ სიახლეთა ინიციატორები კომუნისტები არიან ▲ ახალ-ახალი რეზერვების ძიებაში... ▲ დისციპლინა მთავარი რეზერვია.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს თიხის კარიერი, რომლის ბაზაზე 15 წლის განმავლობაში აგურის ქარხანა მუშაობდა, ამოიწურა და აგურის წარმოება შეწყდა. ფართობის ნაწილი საცხოვრებელი ბინების კორპუსებმა დაიკავა, ხოლო ნაწილზე პლასტმასის საამქრო გაიხსნა. მერე მას კერამიკის (წითელი კერამიკის და ნახევარფაიფურის) საამქრო მიემატა, უფრო გვიან — ბეტონის მოზაიკური ფილების საამქრო. ასე იცვალა სახე თბილისის სამშენ მასალათა კომბინატმა.

მიდიოდა მუშაობა, როგორც იტყვიან, ხან ავად, ხან კარგად. მაინცდამაინც საძნელო ამოცანების წინაშე არ აყენებდა კოლექტივს არც თუ დიდი გეგმები. მაგრამ აი, მუდმივი უსიამოვნება შემხვედრ გეგმებთან დაკავშირებით იყო. შეიკრიბებოდნენ პარტიულ კრებაზე, აწონდაწონიდნენ თავიანთ შესაძლებლობებს, მოეჩვენებოდათ, რომ შეძლებდნენ იმაზე მეტს, ვიდრე ამას სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა, მიიღებდნენ შემხვედრს და... ფინალი ერთი და იგივე იყო ყოველთვის. ვალდებულებას ვერავინ დაგაძალებს, მაგრამ, თუ თავს იდებ და იკისრე, მას უკვე კანონის ძალა აქვს, იგივე გეგმაა და მის ჩაშლას არავინ გაპატიებს. კომბინატში კი ვალდებულებების შესრულებას არა და არ ადგებოდა საშველი.

ხუთწლედის საკონტროლო ციფრები რომ მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, ამაში არც თვითონ ეპარებოდათ ეჭვი (ცოდვა გამხელილი ჯობს!) და არც ზემოთ — ხელმძღვანელ ორგანოებში, მაგრამ იმედს (საკუთარი თავის თუ სხვის მოსაჩვენებლად) მაინც არ კარგავდნენ. მაგრამ, ვაი, ისეთ იმედს, დასაყრდენი რომ არა აქვს. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში.

ამ რამდენიმე წლის წინათ კომბინატში ახალი დირექტორი მოვიდა...

ამას წინათ გამართულ საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ერთხელ კიდევ მკვეთრად გაესვა ხაზი რეზერვების უდიდეს მნიშვნელობას წარმოებაში. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საწარმოს კომუნისტებმა მაშინ სწორი კურსი აიღეს. დღეს უკვე, ახლანდელი პოზიციებიდან, ადვილია განსჯა. საერთოდ, წარსულში იოლია როგორც ავის, ისე კარგის დანახვა. სულ სხვაა, სიძნელესთან პირისპირ დგომა, პირველი ნაბიჯების პასუხისმგებლობა, როცა გრძნობ, რომ ექსპერიმენტების და შეცდომების გამოსწორების დრო აღარ არის, რომ ამ ნაბიჯებს მთელი სიმკაცრით განსჯის მომავალი.

ერთი რამ კი მაშინაც ცხადი იყო, საწარმოს კომუნისტები ახალი დირექტორის კომუნისტ გივი ბუცხრიკიძის ხელმძღვანელობით წარმატების გზებს რომ ეძიებდნენ ასე დაჟინებით: დამატებითი რესურსები არსაიდან არ იყო მოსალოდნელი, მომავალი წარმატება სხვის დაუხმარებლად საკუთარი ხელებით უნდა გამოეჭედათ. ამიტომ ითქვა პარტიულ კრებაზე: მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ საწარმოს მაჩვენებლები, გავზარდოთ პროდუქციის ასორტიმენტი, მისი რეალიზაციის მაჩვენებლები. და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ახალ-ახალი რეზერვების გამოვლენის გზით უნდა განხორციელდესო.

რეზერვები კი ყოველთვის და ყველგან არის. მათ მოძიება და ამოქმედება უნდა მხოლოდ. პლასტმასის საამქროს ტერიტორიის თითქმის მესამედი აუთვისებელი იყო. თვით საამქროც ნახევრად ცდებოდა ხოლმე ნედლეულის უქონლობის გამო. თუ არა რეზერვი აბა რა ჰქვია ამას! კრებაზე გადაწყდა — ცარიელ ტერიტორიაზე მხატვრული მინის საამქრო გახსნილიყო, საამქროს კი ნედლეული არ მოჰკლებოდა. უფრო მეტიც, ახალი პროდუქციის— სუკნომიტის დამზადების ტექნოლოგიაც აითვისეს. საკუთარი წარმოების მასალით გააფორმეს ადმინისტრაციული კორპუსის ინტერიერი. მალე კიდევ ერთი ახალი — „სმალტის“ საამქრო ჩადგება მწყობრში.

კომბინატის კომუნისტებმა კარგად იციან, რომ ნებისმიერ კოლექტივში პარტიული ორგანიზაციის ძლიერება მისი ბრძოლისუნარიანობაა, რომ მით უფრო ეფექტიანი და მიზანმიმართულია მისი მუშაობა, რაც უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული საწარმოს საქმიანობასთან. ამიტომ კომუნისტები თავიანთ კრებებზე ხშირად მსჯელობენ სხვადასხვა საწარმოო საკითხზე.

ნედლეულისათვის ზრუნვა საბოლოო ანგარიშით პროდუქციის ხარისხისათვის ზრუნვაა. კომბინატში ეს საკითხი ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ცეცხლგამძლე თიხა აუცილებლად დახურულ ფარდულში უნდა ინახებოდეს. ის კი ღია ცის ქვეშ ეყარა. ამიტომაც ეს საკითხი სასწრაფოდ დასვა კრებაზე ხარისხის კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ცხომელიძემ.

ნახევარფაიფურის საამქროში წარმატებით მოქმედებს ხუთბალიანი სისტემა. სასურველია ყველა საამქროში დაინერგოს იგი. ეს გაზრდის მუშაკთა დაინტერესებას, მათს პირად პასუხისმგებლობას — ასე ფიქრობდა კომბინატის მთავარი მხატვარი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე კომუნისტი მურთაზ აბაშიძე და გაუზიარა კიდეც ეს აზრი პარტიულ კრებას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ კრებაზე გამოთქმულ სამართლიან კრიტიკასა და სწორად დასმულ საკითხზე რეაგირება თითქმის კრების დამთავრებისთანავე იწყება (ამასთან მკაცრი კონტროლია დაწესებული დადგენილების შესრულებისადმი), კომბინატის კომუნისტთა წარმატების კიდევ ერთი „საიდუმლო“ გახდება ცნობილი. პარტიულ კრებაზე იშვა ინიციატივა —„ყოველ დღის 8 საათის სამუშაო შევასრულოთ 7 საათში“, რომელიც ახლა სამუშაო ნორმად არის ქცეული კომბინატში.

„მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია რაციონალიზატორობა და გამოგონებლობა“ — ითქვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. ამაში საკუთარი მაგალითით დარწმუნდნენ კომბინატის მშრომელები. ამ ცოტა ხნის წინათ პარტიულ კრებას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოს წევრმა ეთერ მგელაძემ მოახსენა, რომ შარშან წამოყენებული 20 რაციონალიზატორული წინადადებიდან დაინერგა 15, რამაც 30.586 მანეთი ეკონომიკური ეფექტი მისცა წარმოებას.

კომბინატის მშრომელთა წარმატების ნათელსაყოფად მხოლოდ ერთი ციფრობრივი მაჩვენებლის მოყვანაც საკმარისი იქნება: ხუთწლედის ბოლოსათვის აქ 5 მილიონი მანეთი ღირებულების პროდუქცია უნდა გამოეშვათ სარეალიზაციოდ (ეს ის ციფრია, აუღებელ ციხესიმაგრედ რომ მოჩანდა ხუთწლედის დასაწყისში), ხუთწლედის დამთავრებამდე ჯერ კარგა დროა, აქ კი, როგორც იტყვიან, უკვე გადალახული აქვთ რუბიკონი. შარშანდელის ჩათვლით უკვე 6 მილიონ მანეთამდე ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს. — მიმდინარე წლის ბოლოსათვის 7 მილიონამდე ავალთო, თქვა პარტბიუროს მდივანმა იზა ცერიაშვილმა. რაც მთავარია, — ხაზგასმით აღინიშნა საზეიმო მიტინგზე, როდესაც კომბინატის მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას გადასცემდნენ, — „ეს წარმატებები მოპოვებულია მხოლოდ და მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდით, ყოველგვარი დამატებითი კაპიტალდაბანდებების გარეშე. წარმატება საწარმოში განაპირობა შემხვედრი გეგმების სწორად გააზრებამ, სახელმწიფო გეგმის და საკუთარი შესაძლებლობების ზედმიწევნით ზუსტმა ანალიზმა, შიდა რეზერვების უაღრესად რაციონალურმა გამოყენებამ“...

და ბოლოს, პატარა ინტერვიუ კომბინატის დირექტორთან გივი ბუცხრიკიძესთან:

— როგორც ხელმძღვანელს, რა მიგაჩნიათ წარმატების უმთავრეს წინაპირობად?

— ყველაფერი დისციპლინით იწყება. ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „ჩვენი აქტიური პოზიცია“, რომლის ავტორია მუშათა კლასის წარმომადგენელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჯოხაძე, ყველა ჩვენგანი უნდა ჩააფიქროს. აქ შემთხვევით როდია გამოყოფილი ერთ-ერთ საკვანძო საკითხად დისციპლინა და მუშაკის პირადი პასუხისმგებლობა. ვისაც წარმატების მიღწევა სურს, უპირველესად დანაკარგებს უნდა ებრძოლოს — იქნება ეს სამუშაო დრო, ნედლეული თუ მასალა. ჩვენი მუშაკები დიდ ყურადღებას უთმობენ საამქროში სამუშაო იარაღის და ტექნოლოგიური მოწყობილობების დროულ უზრუნველყოფას, მუშაობის სტილის სრულყოფას, დახვეწას, სამუშაო ადგილის შერჩევასაც კი. ასე განსაჯეთ, მუშის სამუშაო პოზის უფრო მოხერხებულ შეცვლასაც კი შეუძლია გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

— მთელ რიგ საწარმოებში გადაუჭრელ პრობლემად რჩება მუშახელის ნაკლებობა, რაც, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებს საწარმოო მაჩვენებლებზე. თქვენთან, როგორც ვიცი, მუშაობის მსურველთა რაოდენობა გაცილებით სჭარბობს თქვენთვის საჭირო მუშახელის რაოდენობას. რით აიხსნება ეს?

— მუშახელის შენარჩუნება ცალკე პრობლემად არ წამოიჭრება, თუ მისი შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ვიზრუნებთ. წარმოების კულტურა მნიშვნელოვანი საკითხია. უკანასკნელ წლებში კომბინატს შეემატა საშხაპეები, გასახდელები, ქალთა ჰიგიენის ოთახი, სასადილო, ქართული პურის საცხობის საამქრო, ნახევარფაბრიკატების მაღაზია. მალე მწყობრში ჩადგება კაფე-ბარი, სასპორტო მოედნები, ტირი და სხვ.

მეორე — ჩემი აზრით, არცთუ უმნიშვნელო საკითხი: მუშების საშუალო ხელფასი ჩვენთან 200 მანეთს აღწევს, ზოგი 300 მანეთს და მეტსაც ღებულობს. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, როგორც ჩანს, საკმარისია საიმისოდ, რომ მუშახელის დეფიციტი არ გვაწუხებდეს...

როგორც ვხედავთ, ერთგვარი უკუკავშირი არსებობს აქ. დირექცია ზრუნავს მუშაობის პირობებზე, მუშა-პერსონალზე, ეს უკანასკნელნი კი თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს გაიღებენ. სიკეთე ამ უკუკავშირისა ზემოთ ვნახეთ. შედეგი კიდევ ის არის, რომ მათი ნახელავი დიდად მოსწონს მომხმარებელს. ეს არის ლიქიორის კომპლექტები „ნარნარი“ და „თინათინი“ (შიგნიდან მოოქროვილი), დოქი „ხევსური ქალი“, სუვენირი „ირმები“, ვაზები „სვეტი“ და „კაცხი“, ბროლის სხვადასხვაგვარი ნაკეთობანი. ბევრ მათგანს ხარისხის ნიშანი ამშვენებს. ქართველ ოსტატთა ნახელავი იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში.

საწარმოს კომუნისტებს დავემშვიდობე, მათი მშვენიერი, სანიმუშოდ მოვლილი ეზო-კარიდან რომ გამოვდიოდი, კვლავ დირექტორის სიტყვები მომაგონდა: განუსაზღვრელია ადამიანის შესაძლებლობებიო. მართლაც რომ განუსაზღვრელია. მას შეუძლია მშვენიერებად აქციოს ჩვეულებრიობა, შეუძლია სიცოცხლე შთაბეროს თიხას, მასში თავისი სული ამეტყველოს, ადამიანის მაღალი, ლამაზი სული და ერთხელ კიდევ მიანიჭოს მას უკვდავება.

გ. ხარებაშვილი.

კადრები: კომპეტენტურობა, ნდობა, პასუხისმგებლობა

მოსაზრებები, წინადადებები...

ხშირად მიხდება შეხვედრა სოფლის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან. მათთან საუბრის შემდეგ არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სპეციალისტი წლების მანძილზე არ იმდიდრებს ცოდნის დონეს, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს საქმეზე. ეს განსაკუთრებით ითქმის საშუალო რგოლის ხელმძღვანელ კადრებზე — ბრიგადირებზე, მერგოლურებზე.

ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ მოვაწყობთ საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა ატესტაციას და ის სპეციალისტები, რომელთა ცოდნის დონე დღევანდელობის მოთხოვნებს არ შეესაბამება, ზონალური კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გადავამზადოთ. თუ ამის შემდეგაც ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს, მათ მიმართ ვიხმაროთ ორგანიზაციული ხასიათის ზომები.

ა. ნარჩომაშვილი,
დოცენტი.

● ●

ჩვენთან სულ ხუთი გზის ოსტატია. სამწუხაროდ, მათ შორის არც ერთი არ არის სკკპ წევრი. ეს ჩვენი საწარმოს კომუნისტების ბრალია. განა არ შეიძლებოდა, რომელიმე მათგანი აღგვეზარდა და ჩვენს რიგებში მიგვეღო. ეს ხომ გაზრდიდა პასუხისმგებლობის გრძნობას, და ის სამუშაოც, რომელსაც ისინი ასრულებენ, ისეთი უხარისხო აღარ იქნებოდა, როგორიც ახლაა. არც მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ფიქრობს არავინ. კადრების სწავლება, მათთვის პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვა კომუნისტთა მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს. პარტორგანიზაციის გავლენა ყველა საწარმოში ძალუმად უნდა იგრძნობოდეს.

ო. ჭელიძე,
№ 7 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, მშენებელი ინჟინერი (ამბროლაურის რაიონი).

● ●

თანდათან მკვიდრდება კადრების შერჩევაში მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობის პრინციპი. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ფართოდ განიხილავენ, მსჯელობენ დასაწინაურებელ კანდიდატურაზე. ასეთი მიდგომა ძირითადად ამართლებს. მაგრამ ზოგჯერ ხდება ისეც, როცა ნაქები მუშაკი თანამოსაქმეებს უცრუებს იმედს, თავს ვერ ართმევს მინდობილ საქმეს, ჩაშლის მუშაობას.

მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთ შემთხვევაში პასუხი მოეთხოვოს იმ კოლექტივსაც, რომელმაც რეკომენდაცია მისცა დაწინაურებულ პირს. საჭიროა რაიონული კომიტეტის ბიუროზე, რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე გამოიძახონ რეკომენდატორი შრომითი კოლექტივის წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, იმის მიხედვით, თუ ვისი ნომენკლატურაა შერჩეული მუშაკი.

კადრების შერჩევისადმი ასეთი დამოკიდებულება გაზრდის პასუხისმგებლობას, აღმოფხვრის ფორმალიზმსა და ზერელობას.

კ. მინდიაშვილი,
გაზეთ „ტყიბულის“ პასუხისმგებელი მდივანი, რედაქციის პარტბიუროს მდივნის მოადგილე.

● ●

რომ აშენო, უნდა იცოდე. ეს ოდითგანვე ცნობილი ჭეშმარიტებაა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ვაშენებთ და როგორია მშენებლობის ხარისხი. მართალია, ჩვენი სამმართველოს კოლექტივის ნახელავი ჯერჯერობით არავის არ დაუწუნებია, მაგრამ განა ყველაფერს კარგად ვაკეთებთ, განა უკეთ შენება არ შეგვიძლია? ეს მარტო ჩვენს სამმართველოს არ შეეხება. ამიტომაც, კარგი იქნება, თუ მშენებლობაზე დასაქმებული ნებისმიერი მუშაკის გარჯა, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მისი ნახელავის ხარისხითაც შეფასდება და საუკეთესო ღირსეულად დაჯილდოვდება. ეს მნიშვნელოვნად აამაღლებს თითოეული მათგანის პასუხისმგებლობას, მშენებლობაზე მოიზიდავს ახალგაზრდობას.

კ. ოთხოზორია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხაკაიას № 2 სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს კალატოზი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

წარმატების მთავარი ბერკეტი

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის მუშაობის უკეთ მოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში გაიმარჯვა ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის — ქვეყნის ერთადერთი საწარმოს კოლექტივმა. მას მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომი, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

ჯილდოების გადაცემას მიეძღვნა საზეიმო კრება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა დროშა ფოთელ მანქანათმშენებლებს და ახალი წარმატებები უსურვა მუშაობაში.

მსოფლიოს 28 ქვეყანაში მუშაობს ფოთის მარკის მიწასაწოვი მანქანები. ქვემოთ ვბეჭდავთ ქარხნის დირექტორის დ. მალალაშვილის წერილს იმის თაობაზე, თუ როგორ იბრძვის საწარმოს კოლექტივი შიდარეზერვების მაქსიმალური გამოვლენისა და ამოქმედებისათვის.

ორგანიზებულობისა და დისციპლინის შემდგომი ამაღლება სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობის თითოეულ უბანზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.

დღეს წარმატებების მიღწევა წარმოუდგენელია, თუ საწარმოში კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპით არ ხელმძღვანელობენ, ეს მკაფიოდ აისახა სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით: „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას მუშური გარანტია“, „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით“. ამ მხრივ გაწეული შრომის შედეგად დაგროვილი გამოცდილება, მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები თვალნათლივ გვარწმუნებს ამ ბრძოლის მაღალ ეფექტიანობაში.

მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ჩვენმა კოლექტივმა ეფექტიანობის მკვეთრ ამაღლებას (ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში გამოშვებული პროდუქციის ზრდის ტემპმა 121 პროცენტი შეადგინა), პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას (1975 წელთან შედარებით ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობა 9-დან 46,4 პროცენტამდე გაიზარდა) უმთავრესად პარტიული, სახელმწიფო, საგეგმო, საფინანსო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის განმტკიცების საფუძველზე მიაღწია.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აქ დისციპლინისათვის ბრძოლა ორგანულად არის შერწყმული საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საქმიანობასთან. ქარხანაში უკვე დიდი ხანია მივაღწიეთ უჩამორჩენლებოდ მუშაობას. ახლა სახელმწიფო დავალებებს სისტემატურად ასრულებენ საწარმოს ყველა ბრიგადის, უბნის და საამქროს კოლექტივები.

უჩამორჩენილებოდ მუშაობა რეზერვების მაქსიმალურ გამოვლინებასთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებას. სამუშაო დროის დაკარგვამ გამომუშავებული დროის მთლიან ბალანსში 1976 წელს 1,6 პროცენტი, ხოლო 1977 წელს 1,1 პროცენტი შეადგინა (ეს ის რეზერვია, რითაც დამატებით 50 ათასი მანეთის პროდუქციის შექმნას შევძლებდით). დაკარგული სამუშაო დროის ღრმა ანალიზის მიზნით ქარხანაში შარშან მოვაწყვეთ საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსი დევიზით: „რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო“. ამ მიზნით შევქმენით საამქრო და საერთო საქარხნო კომისიები, შევიმუშავეთ დათვალიერების დებულება. წარმოდგენით, გამოვლინდა ისეთი სამუშაო დროის ცვლისშიდა დანაკარგები, რომლებსაც წინათ ყურადღებას არ ვაქცევდით, განსაკუთრებით იჩინა თავი ტექნოლოგიური პროცესების გაუმართაობამ, შიდასაწარმოო ტრანსპორტირების არარაციონალური მარშრუტებით და, რაც მთავარია, შრომის შიდა განაწესის შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეულმა დანაკარგებმა. ნედლეულით არარიტმული მომარაგების გამო მარტო ფართო მოხმარების პროდუქციის დამამზადებელ საამქროში დანაკარგებმა 512 საათი შეადგინა. ამ პერიოდში სამუშაო დღის 89 ფოტოგრაფირებისას აღირიცხა 262 საათის მოცდენა. ამის თავიდან აცილება კი, საშუალებას მოგვცემდა 0,5 პროცენტით აგვემაღლებინა შრომის ნაყოფიერება. დათვალიერებამ თვალნათლივ დაგვანახა აგრეთვე ის დიდი ზიანი, რომელიც მოსდევს ტექნოლოგიური პროცესებისაგან გადახვევას. მარტო ამ მიზეზებით მექანიკურ და საიარაღო საამქროებში ზედმეტად დაიხარჯა 1830 საათი, რომლის გამოყენებაც დაგვეხმარებოდა, მაგალითად, საამწყობო საამქროსათვის დამატებით მიგვეწოდებინა ერთი მიწასაწოვი მანქანისათვის საჭირო დეტალები. სამუშაო დროის გადახარჯვები ხდება იმ საამქროებში, სადაც გვაკლია კვალიფიციური ხარატები და მღარავები.

კომისიამ ქარხნის ხელმძღვანელობისა და პარტიული ბიუროს წინაშე აღძრა სასაშვებო რეჟიმის, სატაბელო სისტემის სრულყოფისა და განმტკიცების, დისციპლინის დამრღვევებთან აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების საკითხი. ამ პერიოდში იშვა ბევრი ორგანიზაციული სიახლე, რომელთაგან საყურადღებოა საპრემიო სისტემაში დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა.

დათვალიერებამ მეტად სასარგებლო დახმარება გაგვიწია. საკმარისია აღინიშნოს, რომ დროის დანაკარგებმა 1978 წელს საერთოდ გამომუშავებული დროის 0,43 პროცენტი შეადგინა, რაც 69,7 პროცენტით ნაკლებია 1977 წლის ამავე მაჩვენებელზე. მთლიანი პროდუქციის გამოშვება ამ პერიოდში 5,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი 4,5 პროცენტით გავზარდეთ. განხორციელებულ ეფექტიან ღონისძიებათა შედეგად მუშათა რიცხვის გაუდიდებლად გასულ წელს ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გამომუშავებულია 362 ათასი მანეთის დამატებითი პროდუქცია.

მიუხედავად ამისა ჩვენი საზრუნავი მაინც სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტის მუდმივი ამაღლებაა. ამ მიზნით საწარმოში მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე ეწყობა დროის რაციონალური გამოყენების ერთთვიური. ამისათვის, როგორც მოწინავე საწარმოთა გამოცდილებამ დაგვანახვა, მარტო შრომის დისციპლინის განმტკიცება როდია საკმარისი. სასურველ შედეგებს მაშინ მივაღწევთ, როცა ყოველივე ზემოაღნიშნული ორგანულად იქნება შეხამებული შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული მეთოდების დანერგვასთან. ამ მხრივ ჩვენ დიდ დაინტერესებას ვიჩენთ, როგორც ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტში“ იყო გამოქვეყნებული, ვოლგის საავტომობილო ქარხნის მდიდარი გამოცდილების შესასწავლად და დასანერგად. ასევე ერთ-ერთ ეფექტიან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს შრომის ბრიგადულ მეთოდზე გადასვლა, რაც პირველად ექსპერიმენტის სახით ელექტროშემდუღებელ საამქროში განვახორციელეთ. ეს კიდევ უფრო ზრდის კოლექტიურ პასუხისმგებლობას. უახლოეს დროში განზრახული გვაქვს შრომის ბრიგადულ მეთოდზე გადავიყვანოთ ხარატები, მღარავები, მბურღავები, მტვიფრავები და იმ პროფესიის მუშები, რომელთა ასეთი წესით მუშაობა ახლო წარსულში თითქმის შეუძლებელი გვეგონა.

საწარმოო გეგმების სისტემატური შესრულების დამკვიდრებული ტრადიციისათვის კოლექტივს არც ამჟამად უღალატია. გეგმა პირველ კვარტალში ყველა მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით შევასრულეთ და იანვარ-მარტში პროდუქციის რეალიზაციის დავალება 34 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ. წელს ჩვენი მიზანია პროდუქციის ზრდის ტემპები ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე განვახორციელოთ.

ახლახან ჩვენი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა რესპუბლიკის ყველა მშრომელს მოუწოდეს წარმოების რეზერვების გამოძებნისა და ამოქმედების გზით მიმდინარე წელს მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს და იკისრეს გაზრდილი ვალდებულებანი. მათ შორის ჩვენც გადავწყვიტეთ ვაწარმოოთ 150 ათასი მანეთის, ხოლო გავასაღოთ 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 10 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საგნებს, პროდუქციის რეალიზაციის გზით კი მივიღებთ 9,1 ათასი მანეთის ზეგეგმით მოგებას, დავზოგავთ 35 ტონა შავსა და 0,1 ტონა ფერად ლითონს, 40 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 7 ტონა პირობით საწვავს.

მიღწეული მეტს გვავალებს. ამიტომ ჩვენ აქედანვე მონდომებით ვიღწვით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და მაღალი კულტურის საწარმოს საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

დ. მალალაშვილი,
ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი.

ნოვატორი

კომუნისტმა ანზორ ერგემლიძემ თბილისის აბრეშუმის ფაბრიკაში , მუშაობა თორმეტი წლის წინათ ოსტატის თანაშემწის მოწაფედ დაიწყო. ბეჯითი ახალგაზრდა კარგად შრომობდა, მაღალ მაჩვენებლებს აღწევდა, თან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტზე სწავლობდა. ამჟამად იგი საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე უბნის — დამამზადებელი საამქროს უფროსია.

ა. ერგემლიძე წარმოების ნოვატორია. მისმა 32 რაციონალიზატორულმა წინადადებამ საწარმოს დაახლოებით 1600 მანეთი დაუზოგა, შეამსუბუქა შრომა, გაზარდა მოწყობილობის მწარმოებლობა.

სურათზე: ანზორ ერგემლიძე.

ვ. მორგუნოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სისხლით განმტკიცებული მეგობრობა

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანები თბილისში

ქართველი პარტიზანების სახელი ჰქვია იტალიაში ტურინის მახლობელ ქალაქ ვალდისუზის ერთ-ერთ ქუჩას. აქ წინააღმდეგობის მებრძოლთა პატივსაცემად აღმართულ ძეგლზე წარწერილია: „იტალიისა და ევროპის თავისუფლებისათვის იტალიელი ძმების მხარდამხარ ფაშიზმის წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ საბჭოთა საქართველოს შვილებიც“.

ამ ფირფიტის ასლი, აგრეთვე საბჭოთა და იტალიელი პარტიზანების საბრძოლო ძმობის ფოტოალბომი იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის თბილისში მყოფმა ვეტერანებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის დროს გადასცეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ენუქიძეს. ამ რელიკვიებს მოათავსებენ საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპონატებს შორის.

ხუთი დღე იმყოფებოდნენ საქართველოში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი. ისინი ეწვივნენ კახეთს. გურჯაანსა და ქვემო მაჩხაანში დაესწრნენ თანამებრძოლების, ჩვენი თანამემამულეების გ. ვარაზაშვილისა და ფ. მოსულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგებს.

მიტინგის მონაწილეთა შორის იყო პარტიზანული დივიზიის განთქმული მეთაური ერალდო გასტონე. მის რაზმში იბრძოდა ფ. მოსულიშვილი. კომუნისტმა ე. გასტონემ, რომელიც ომისშემდგომ წლებში არაერთგზის აირჩიეს ეროვნულ პარლამენტში, პირველმა იშუამდგომლა თავისი ქვეყნის მთავრობის წინაშე, რომ მამაცურად დაღუპული ქართველი მეომრისათვის იტალიის უმაღლესი ჯილდო მიენიჭებინათ. პარტიზანთა მეთაურის თხოვნა დააკმაყოფილეს.

პარტიზანთა მეორე მეთაურმა კომუნისტმა მაფიოზო ალესიომ განსაკუთრებით თბილად მოიგონა საქართველოს მკვიდრნი, რომლებიც მის რაზმში იბრძოდნენ იტალიის თავისუფლებისათვის.

— სულ ჩვენთან 130 ქართველი იბრძოდა, თქვა მ. ალესიომ. ისინი იყვნენ უშიშარი მეომრები, ერთგული მეგობრები.

თბილისის გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გაიმართა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან.

უსაზღვრო იყო ჩვენი გაოცება, როცა ბავშვები ზედმიწევნით დახვეწილი იტალიურით მოგვესალმნენ, გაგვიზიარა ამ შეხვედრის შთაბეჭდილება იტალიის ერთ-ერთმა უხუცესმა ანტიფაშისტმა ბრუნო კოლეტიმ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირში ბავშვობიდანვე უნერგავენ ადამიანებს სხვა ხალხების პატივისცემას.

ახლოვდება გამარჯვების დღე — ცხრა მაისი. ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავენ იტალიაში.

— ამ დღეს სულითა და გულით თქვენთან ვიქნებით, — თქვა გამოთხოვებისას ე. გასტონემ. მარადჟამს მადლიერნი ვიქნებით საბჭოთა კავშირისა, რომელმაც ყველა ხალხის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ლამპარი აანთო. (საქინფორმი).

სად გადაამუშავებენ ჩაის ფოთოლს?

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ყველა რეზერვს ვერ იყენებენ

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო ტრადიცია აქვთ. ახლა, ხუთწლედის მეოთხე წლის სეზონში, მეჩაიეებმა გადაწყვიტეს 12.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ. ეს სარეკორდო ციფრია მაღალმთიანი რაიონისათვის. სწორედ ამიტომ ბევრი მკრეფავი მუყაითად მოემზადა სეზონის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

მეჩაიეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობის მოსაპოვებლად აქედანვე იბრძვიან ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მკრეფავი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი თამარ ოსეფაშვილი, ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ეთერ მამალაძე. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს მომზადებული შეხვდნენ ჩაისუბნელი მკრეფავები ლამარა ქღენტი და ზინა სიხარულიძე, შუაგანახლებელი მაყვალა ანთიძე და ბევრი სხვა. სეზონში თითოეული მათგანი 9-13 ტონაზე მეტი ჩაის ფოთლის მოკრეფას გვპირდება.

ახალ სეზონში ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის ენერგიულად ირჯებიან ხიდისთავის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. გოგიბერიძე) მშრომელები, რომლებიც ორი წელია ზედიზედ ფლობენ საკავშირო გარდამავალ წითელ დროშას. სეზონისათვის მზად არიან ჩაისუბნის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ო. შარაშენიძე) წევრები. ერთი სიტყვით, ცოტა როდია ისეთი მეურნეობები და საწარმოები, რომლებიც მზად არიან ჩაის ფოთლის კრეფისათვის.

კარგად მოიქცა პარტიის ჩოხატაურის რაიკომის ბიურო, რომელმაც განიხილა რაიონში ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების და მისი გადამუშავების სეზონისათვის მზადყოფნის საკითხები, დაისახა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

როგორც ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად ჩაის ფაბრიკებში ყველაფერი რიგზე ვერ არის. აქა-იქ გულსატკენ ფაქტებსაც წავაწყდით. მაგალითად, ჩოხატაურის № 1 ჩაის ფაბრიკის თითქმის ყველა საამქროში გორაგორად ალაგია გასული წლის პროდუქციით სავსე ყუთები და ტომრები. მარტო მწვანე ჩაის კორპუსში აწყვია 100 ტონაზე მეტი პროდუქცია. მზა პროდუქციის საამქროში წყალი ჩამოდის, ფანჯრებზე ფანერებია გაკრული, მოუწყობელია საქვაბე განყოფილება, ფაბრიკის ეზოში ჭუჭყიანი წყლის გუბეები დგას. უწესრიგოდ ყრია სამშენებლო მასალების ნარჩენები.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელ ბინებს სერიოზული შეკეთება სჭირდება, ზოგ სახლს კი კაპიტალური რეკონსტრუქციაც. ოთახებში სახურავიდან წვიმის წყალი ჩამოდის. სამი წელია საშველი არ დაადგა ფაბრიკის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობას, იგი ახლაც ხარახოებშია.

ფაბრიკის დირექტორმა შ. მამალაძემ აგვიხსნა ამ ნაკლოვანებათა „ობიექტური“ მიზეზები, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, თავიდათავი მიზეზი მაინც ის არის, რომ საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“ ჯეროვნად ვერ ეხმარება ამ ფაბრიკას. იგი დღესაც დაუკომპლექტებელია წამყვანი კადრებითა და სპეციალისტებით. აქ აკლიათ ცვლის 4 მორიგე-ტექნოლოგი, — 5 ბრიგადირი, — 6 ლაბორანტი, — ერთი ინჟინერ-ტექნოლოგი, — 50 მუშა.

ამ დღეებში ჩაის ფოთლის კრეფა მთაგორიან ჩოხატაურის რაიონშიც დაიწყო. როგორ იმუშავებს ეს ფაბრიკა, რომელმაც მიმდინარე სეზონში სულ ცოტა 3.500 ტონაზე მეტი ნედლეული უნდა გადაამუშაოს?

მეტ-ნაკლებად ასეთივე მდგომარეობაა ჩოხატაურის № 2 ჩაის ფაბრიკაშიც (დირექტორი — გ. დოლიძე), საამქროში ყველგან მზა პროდუქცია აწყვია, მის განტვირთვას ბოლო არ უჩანს. დამხარისხებელ საამქროში შემრევი დოლი შეუკეთებელია, მზა პროდუქციის საამქროში სახურავიდან წვიმის წყალი ჩამოდის და იატაკზე გუბეებად დგას, წესრიგში არ არის სალუმელე განყოფილება, ფაბრიკის კედლები ჭუჭყისაგან გაშავებულია.

№ 3 ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ბ. თოლორდავა) ყველა მანქანა-დანადგარი არ არის გამართული. ჩაის მიმღებ ცენტრალურ პუნქტში უტარო გადაზიდვის სპეცტრანსპორტიორი დაუმონტაჟებელია. ეს ვეებერთელა დანადგარი ხელუხლებელი დევს პუნქტში. სავენტილაციო და მტვერშემწოვი დანადგარ-მოწყობილობანი ცის ქვეშ ყრია.

ისევე როგორც სხვა ფაბრიკებში, აქაც მწვავედ განიცდიან მუშახელის ნაკლებობას. ფაბრიკა ჯერაც არ არის დაკომპლექტებული კადრებით. ახლა დაეძებენ ბრიგადირებს, ლაბორანტებს, მორიგე ტექნოლოგებს, ცეცხლფარეშებს. მოუწესრიგებელია მუშათა საცხოვრებელი ბინები, ბავშვთა ბაგა-ბაღები, სწორედ ეს აძნელებს მუშახელის მოზიდვას და შენარჩუნებას.

ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკებში ყურადღებას არ აქცევენ ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ღონისძიებების დაცვას.

რაიონში არა აქვთ ისეთი რესურსები, სპეციალური სამშენი მასალები და სხვა საშუალებანი, რომ უმოკლეს ვადაში დაძლიონ ეს ხარვეზები. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელობამ.

დრო არ ითმენს, ყველაფერი უნდა ვიღონოთ და სასწრაფოდ გამოვასწოროთ აღნიშნული ნაკლოვანებანი, მომზადებული შევხვდეთ ახალ სეზონს და ღირსეული წვლილი შევიტანოთ საქართველოს მეჩაიეთა საერთო წარმატებაში.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საბჭოები მართლწესრიგის სადარაჯოზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიათა თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი.

თათბირში აგრეთვე მონაწილეობდნენ საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეთა მოადგილეები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა. მან ხაზი გაუსვა დიდ როლს, რომელსაც ეს კომისიები ასრულებენ მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. იგი შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც ხალხის რჩეულებს დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე გამოსვლაში.

თათბირზე გამოვიდნენ რესპუბლიკის პროკურორი ა. ბარაბაძე და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დამნაშავეობას წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების საქმე როდია.. თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა აქ უნდა თქვან საზოგადოებრიობამ, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიებმა. ამ კომისიებმა უნდა იმოქმედონ უფრო ენერგიულად, განსახილველად გამოიტანონ ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, მტკიცედ მიაღწიონ თავიანთი რეკომენდაციათა განხორციელებას, უკეთ გაუწიონ კონტროლი მათ შესრულებას. მართლწესრიგის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. თავის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება კომისიებმა უნდა დაუთმონ პროფილაქტიკურ მუშაობას, დამნაშავეობის მიზეზების აღმოფხვრას.

თათბირზე აღინიშნა ნაკლოვანებანიც ზოგიერთი კომისიის მუშაობაში, ლიბერალური დამოკიდებულება ხულიგნებისადმი, ლოთებისა და მუქთახორებისადმი.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ რ. ჩალაურმა, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ ვ. ქალდანმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ ვ. აბულაძემ და სხვებმა დამსწრეთ გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკეს მის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა პ. გილაშვილმა. (საქინფორმი).

მსოფლიო მეცნიერების დიდ გზაზე

ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო

საკითხის ღრმად შესწავლამ ქართველი მეცნიერი იმ გაბედულ აზრამდე მიიყვანა, რომ რუსთველი არა მარტო მშვენივრად იცნობდა ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ასტრონომიის მიღწევებს, არამედ მთელი 400 წლით უსწრებდა წინ თავისი ეპოქის ასტრონომიულ ცოდნას

ვინც რუსთველოლოგიის წინსვლა-განვითარებას თვალყურს ადევნებს, ის უთუოდ შეამჩნევდა ამ მეცნიერებისათვის დამახასიათებელ საინტერესო კანონზომიერებას: რაც უფრო ღრმად ვსწავლობთ ვეფხისტყაოსანს, მით უფრო თვალნათლივ ვრწმუნდებით, რომ მისი ავტორი მსოფლიო მასშტაბის უბადლო გენიოსია არა მარტო როგორც სწორუპოვარი პოეტი, რომელმაც მიუწვდომელი მხატვრული სიმაღლეები დაიპყრო, არამედ, აგრეთვე, როგორც შუა საუკუნეების უდიდესი მოაზროვნე და მეცნიერი, რომელიც იმდროინდელი მეცნიერების მწვერვალებზე ავიდა.

ჯერ კიდევ აღორძინების ხანის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა შეამჩნიეს, რომ რუსთველი „ფილოსოფიის დიდი მცოდნე და ბრძენია" (თეიმურაზ II), რომ იგი „სიბრძნით სავსეა" (ფეშანგი). ნამდვილი „სიბრძნის ტბაა" (არჩილი). მაგრამ იმ დროს ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლისათვის პირობები არ არსებობდა, ამიტომ აღორძინების ხანამ რუსთველოლოგიას მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა.

გენიალური პოემის შესწავლისა და შეფასებისათვის ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში. ამ დიდ ეროვნულ საქმეს ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს სახელოვანმა თერგდალეულებმა, რომლებმაც ვეფხისტყაოსანი ერის წმიდათაწმიდა წიგნად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშად გამოაცხადეს.

დიდმა ილიამ რუსთველის პოემა ქართველი ერის ყველაზე საუკეთესო ფიქრთა და გრძნობათა განსახიერებად მიიჩნია; მისი სიტყვით, ვეფხისტყაოსანს მთელმა ქართველმა ერმა „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩააქსოვა თავისი სული და გული, შიგ ჩააწყნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი".

ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, რევოლუციამდელი ეპოქის ქართველმა მოღვაწეებმა ვერ შეძლეს (და იმდროინდელ პირობებში მათ არც შეეძლოთ) რუსთველის პოემის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა, ასეთი შესწავლისათვის საჭირო პირობები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მომწიფდა, და ისიც ერთბაშად კი არა, თანდათანობით.

ქართველმა რუსთველოლოგებმა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე უდიდესი შრომა და ენერგია მოახმარეს იმას, რომ დაედგინათ ვეფხისტყაოსნის ნამდვილი ტექსტი, გამოერკვიათ პოემის დაწერის თარიღი და მისი ავტორის ვინაობა, მეცნიერულად შეესწავლათ პოემაში ჩაქსოვილი პროგრესულ-ჰუმანისტური იდეები და ა. შ. რუსთველოლოგიური პრობლემების დამუშავებას და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ პოემის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი რუსთველისადმი მიძღვნილმა ორმა შესანიშნავმა იუბილემ, რომლებიც მთელ საბჭოთა კავშირში მოეწყო როგორც დიდი საერთო-სახალხო ზეიმი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა ვეფხისტყაოსნის ბევრი შესანიშნავი გამოცემა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. გარდა ამისა, პოემა ითარგმნა და გამოიცა მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაზე; შოთა რუსთველი მთელი კაცობრიობის საყვარელი პოეტი გახდა. სწორედ ამ საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის სიმბოლოა პოეტის მშვენიერი ძეგლი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში დაიდგა.

ყველაფერი ეს გვახარებს და გვამაყებს, მაგრამ თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, რადგან ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლა ჯერ სრულადაც არ არის დამთავრებული; ქართველ მეცნიერებს მომავალში უთუოდ დიდი შრომა და ენერგია დასჭირდებათ იმისათვის, რომ ვეფხისტყაოსანი — ეს მართლაცდა უძირო ზღვა ბრძნული აზრებისა და იდეებისა, — ბოლომდე გაშიფრონ და თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით შეისწავლონ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შესანიშნავი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ვეფხისტყაოსნის სტროფებში ჩაქსოვილი ბრწყინვალე აზრების სპეციალურ კვლევას, შეგვიძლია დავასახელოთ „საბჭოთა საქართველოს" მიერ ახლახან გამოცემული წიგნი „რუსთველის კოსმოლოგია", რომელიც ნიჭიერი ქართველი ასტრონომის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გიორგი თევზაძის** კალამს ეკუთვნის.

ცნობილია, რომ რუსთველის კოსმოლოგიის საკითხებს მეცნიერები აქამდეც არაერთხელ შეხებიან, მაგრამ დიდი პოეტის შეხედულებები ციურ მოვლენებზე დღემდე არავის ისე ღრმად და საფუძვლიანად არ გამოუკვლევია, როგორც გ. თევზაძეს. წიგნის რედაქტორი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ გიორგი თევზაძის გამოკვლევა ნამდვილად „ახალი სიტყვაა მეცნიერებაში".

რას გულისხმობს ამ „ახალი სიტყვის" შინაარსი?

საგაზეთო წერილში შეუძლებელია დაწვრილებით გადმოვცეთ გ. თევზაძის ნაშრომის მთელი შინაარსი, ამიტომ დავკმაყოფილდებით მხოლოდ მისი ზოგადი დახასიათებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ავტორმა, ვეფხისტყაოსნის ტექსტის გულდასმით შესწავლის შედეგად, აღმოაჩინა უაღრესად საინტერესო, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საოცარი ფაქტი: ციური სხეულების (მზის, მთვარისა და ვარსკვლავების) ის მოძრაობა და თვისებები, რომლებსაც რუსთველი ასე ლამაზ და მომხიბვლელ პოეტურ სამკაულებად წარმოგვიდგენს, თურმე ზუსტად შეესაბამება ციური სხეულების რეალურ მოძრაობასა და თვისებებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თურმე პოეტმა მისთვის საჭირო ასტრალური ხასიათის მხატვრული სახეები თვითონ კი არ გამოიგონა, არამედ ციური სამყაროს რეალურ მოვლენებზე დააფუძნა; ამასთან მან მთელი ხილული ცარგვალი მისი მზით, მთვარითა და ვარსკვლავებით ისე ჯადოსნურად გარდაქმნა მშვენიერ პოეტურ სახეებად, რომ თვით ციურ სხეულებს, მათი განლაგებისა და მოძრაობის კანონზომიერებას იოტისოდენაც არაფერი დააკლო.

ამ აღმოჩენამ გ. თევზაძეს საშუალება მისცა თანამედროვე ასტრონომიული მეცნიერების თვალთახედვით გაეშიფრა ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფები და დაწვრილებით შეესწავლა რუსთველის კოსმოლოგიური შეხედულებანი. ამ შესწავლის შედეგად მკვლევარმა დაადგინა, რომ რუსთველი არა მარტო მშვენივრად იცნობდა ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ასტრონომიის მიღწევებს, არამედ მთელი ოთხასი წლით უსწრებდა წინ თავისი ეპოქის ასტრონომიულ ცოდნას. გ. თევზაძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ვეფხისტყაოსნის მხატვრულ ქსოვილში, მის მშვენიერ სტროფებში იმალება მთელი კოსმოლოგიური სისტემა, რომელსაც მან გეო-ჰელიოცენტრისტული სისტემა უწოდა; მისი აზრით, ეს სისტემა გაცილებით უფრო ახლოს დგას სამყაროს აგებულების თანამედროვე მეცნიერულ სისტემასთან, ვიდრე ე. წ. პტოლემეოსის სისტემა, რომელიც რუსთველის დროს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად ითვლებოდა. გ. თევზაძის მტკიცებით, რუსთველმა საფუძვლიანად დაარღვია პტოლემეოსის სისტემა. შეცვალა მნათობთა თანამიმდევრობის პტოლემეოსისეული რიგი და მოგვცა ახალი, გაცილებით უფრო მეცნიერული რუსთველისეული რიგი, რომელიც გასაოცარი ოსტატობით არის გადმოცემული ავთანდილის შვიდთა მნათობთა ვედრებაში.

თუ რამდენად წინ გაუსწრო რუსთველმა თავის დროს და რა მაღალ დონეზე აიყვანა მან კაცობრიობის ასტრონომიური აზრი, ეს ჩანს იმ საინტერესო ფაქტიდან, რომ გამოჩენილმა შვედმა მეცნიერმა ტიხო დე-ბრაჰემ მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში ჩამოაყალიბა სამყაროს აგებულების ზუსტად ისეთივე გეო-ჰელიოცენტრისტული მოდელი, როგორიც რუსთველმა მასზე 400 წლით ადრე შექმნა.

მაგრამ რუსთველის ღვაწლი კოსმოლოგიაში მარტო გეო-ჰელიოცენტრისტული სისტემის შექმნით არ ამოიწურება; ამაზე არანაკლებ დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ ღირსშესანიშნავ ფაქტს, რომ გენიალურმა ქართველმა პოეტმა, როგორც ეს გ. თევზაძის ნაშრომიდან ირკვევა, კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დააყენა და არსებითად მეცნიერულად გადაწყვიტა საკითხი მნათობთა მოძრაობის მიზეზთა შესახებ.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ტიხო დე-ბრაჰეს სისტემა ზუსტად ემთხვევა რუსთველის სისტემას; ეს დებულება სწორია, მაგრამ — მარტო გეომეტრიული თვალსაზრისით, არსებითად კი მათ შორის დიდი განსხვავებაა. „ტიხო დე-ბრაჰე, ამბობს გ. თევზაძე, ციურ სხეულთა მოძრაობის მხოლოდ კინემატიკას იძლევა და სრულიად არ ეხება მნათობთა მოძრაობის დინამიკას, მაშინ, როდესაც რუსთველი პლანეტათა კინემატიკასთან ერთად, მათი მოძრაობის გამომწვევ მიზეზებსაც ხსნის" (გვ. 127).

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველი დროის უდიდესმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ შექმნა თეორია, რომლის მიხედვით მნათობები წრიულ, თანაბარ მოძრაობას ასრულებენ. ასეთი მოძრაობა არისტოტელემ თვით მნათობთა თვისებად გამოაცხადა. ეს თეორია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე აქსიომად ითვლებოდა. ამიტომ იმდროინდელი მეცნიერები ციურ სხეულთა მოძრაობის მიზეზებს საერთოდ აღარ იკვლევდნენ.

მხოლოდ ახალ დროში გახდა შესაძლებელი ხსენებული თეორიის დარღვევა. სახელოვანმა კეპლერმა მათემატიკურად დაამტკიცა, რომ მნათობები მოძრაობენ არა წრიულად, არამედ ელიფსით. მაგრამ რა იყო მათი მოძრაობის მიზეზი, რა აიძულებდა მნათობებს ებრუნათ ელიფსურად? ამ ურთულეს კითხვას პასუხი გასცა გენიალურმა ნიუტონმა, რომელიც დაეყრდნო კოპერნიკის, კეპლერის, გალილეის და სხვა დიდ მეცნიერთა აღმოჩენებს და შექმნა სახელგანთქმული მსოფლიო მიზიდულობის ანუ გრავიტაციული ძალის მოქმედების კანონი, რითაც სამყაროს ჰელიოცენტრისტული სისტემა საბოლოოდ დამტკიცდა.

სარეცენზიო წიგნის ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს იმ აზრს, რომ გენიალურმა ქართველმა პოეტმა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების პირობებში არსებითად სწორად გაიგო მსოფლიო მიზიდულობის კანონის არსი და მზეში დაინახა ის ძალა, რომელიც მნათობებს აიძულებს თავიანთი ინერციული მოძრაობის ხაზიდან გადაუხვიონ და მზის გარშემო იმოძრაონ.

აი, როგორ მსჯელობს ავტორი ამ საკითხზე:

„ნიუტონმა პირველმა გვიჩვენა, რომ პლანეტების მრუდწრიული გადაადგილება წარმოადგენს მათი ინერციული მოძრაობისა და მიზიდულობის (ცენტრისკენული ძალის ერთობლივი მოქმედების შედეგს... ინერციის ძალით პლანეტა ცდილობს სწორხაზოვანი გზით მოსცილდეს მზეს, მაგრამ თავის მხრივ, მზე მიზიდულობის გამო არ უშვებს მას, ამიტომ პლანეტა ამ ორი ძალის ტოლი მოქმედების გავლენით იწყებს მისი ცენტრალური სხეულის მზის ირგვლივ ელიფსურ თუ წრიულ მოძრაობას.

ციურ სხეულთა მრუდწრიული მოძრაობის ამ ჭეშმარიტად სწორი ახსნისაგან, ან ამის მსგავსი წარმოდგენებიდან, შორს იდგა ყველა ძველი მეცნიერი. თვით კოპერნიკისა და ტიხო დე-ბრაჰესათვისაც იგი სრულიად უცნაური და გაუგებარი იყო" (გვ. 129–131).

ახლა ვნახოთ როგორ არის საქმე რუსთველთან.

დავაკვირდეთ, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის ცნობილ სტროფს, სადაც ავთანდილი პლანეტა მერკურს (ოტარიდოს) მიმართავს:

ოტარიდო, შენგან კიდე
არვის მიგავს საქმე სხვასა,

მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს,
შემიყრის და მიმცემს წვასა.

ამ სტროფისა და მთელი რიგი სხვა ანალოგიური სტროფების დეტალური ანალიზის გზით სარეცენზიო წიგნის ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათში ნაგულისხმევია არა მარტო მიზიდულობის ძალა, არამედ აგრეთვე მოცემულია ამ ძალის თვისებები. ავტორი ასაბუთებს იმ აზრს, რომ სიტყვა „მაბრუნვებს" მზის გარშემო პლანეტის ორბიტულ მოძრაობას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, რვაასი წლის წინათ მოღვაწე ქართველ პოეტს არსებითად იმგვარადვე ჰქონია წარმოდგენილი პლანეტების მრუდწრიული მოძრაობის მიზეზები, როგორც ეს ნიუტონს და მისი მეოხებით, თანამედროვე მეცნიერებას აქვს წარმოდგენილი. ეს არის ჭეშმარიტად უნიკალური ისტორიული ფაქტი, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით იქნეს შეფასებული.

გრანდიოზული სიახლენი, რომლებიც შოთა რუსთველს ციურ სხეულთა შესწავლაში შეუტანია, ამიერიდან დაამშვენებს და გაამდიდრებს არა მარტო შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და აზროვნების, არამედ მსოფლიო ასტრონომიული მეცნიერების საგანძურსაც. და თუ აქამდე რუსთველს პოეზიის ტიტანების — ჰომეროსის, დანტეს, შექსპირისა და გოეთეს გვერდით ვაყენებდით, ამიერიდან უფლება გვაქვს იგი ბუნებისმეტყველების მეცნიერების ტიტანების — კოპერნიკის, გალილეის, კეპლერისა და თვით ნიუტონის გვერდითაც დავაყენოთ!

და ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორმა დიდი და ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა, რისთვისაც მადლობის ღირსია. მისმა ნაშრომმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ვეფხისტყაოსნის სიბრძნე მართლაც უსაზღვრო და ამოუწურავია.

პროკოფი რატიანი.

მსოფლიოს 15 ქვეყანაში

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან გაიგზავნა ნახშირბადიანი ფერომანგანუმით დატვირთული ცხრა ვაგონი. ნედლეულის ეს პირველი პარტია განკუთვნილია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეტალურგიული მრეწველობისათვის. წელს საწარმო თავის პროდუქციას გაუგზავნის მსოფლიოს 15 ქვეყანას, მათ შორის ფინეთს, ინგლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და თურქეთს. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

უპირველესი პრობლემა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, (საქდესი). აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა თავისი გამოსვლის ნაწილი მიუძღვნა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების დადების პერსპექტივებს.

„მტკიცედ ვარ განწყობილი, — თქვა პრეზიდენტმა, — რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების მეორე ეტაპი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. ჩემი ადმინისტრაციის არც ერთ წევრს, რამდენადაც ვიცი, პოლიტიკური ან რაიმე სხვა მოსაზრებით სერიოზულად არ განუხილავს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკების მეორე ეტაპის შეთანხმების დადების რაიმე გაჭიანურების შესაძლებლობა. თუ მოვახერხებთ, რომ შეთანხმებას უახლოეს ხანში დავდებთ, სენატი მას განიხილავს როგორც ერთ-ერთ ყველაზე უპირველეს პრობლემას და გადაწყვეტილებას წელსვე მიიღებს".

შემდეგ პრეზიდენტმა იმსჯელა იმის შესახებ, რა მოხდება, თუ საბჭოთა კავშირი დაარღვევს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის შეთანხმებას. ამასთან მან აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს საკმარისი საშუალებანი აქვს შესაძლო დარღვევების შესამოწმებლად. თვით ამ მსჯელობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს გაკვირვება, რადგან პრეზიდენტმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ზუსტად იცავდა და განუხრელად ასრულებდა მის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს. რაც შეეხება კონტროლის უზრუნველყოფას იმისადმი, თუ როგორ შეასრულებს საბჭოთა კავშირი ამ შეთანხმებას, ასეთივე კითხვა შეიძლება დავუსვათ შეერთებულ შტატებსაც, და ეს კარგად იცის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ.

პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას. მაგრამ, როგორც მან განაცხადა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას განაპირობებს ის, „თუ ამის გაკეთება შეიძლება არსებული კანონის შესაბამისად.".

ჩინეთის შესახებ ანალოგიურ კითხვაზე ჯ. კარტერმა იგივე ფორმულა გაიმეორა.

პრეზიდენტს დაუსვეს კითხვა: ისრაელის კაბინეტმა ამასწინათ მოიწონა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ორი ახალი დასახლების შექმნა. ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების კოლოსალურ ხარჯებს თუ გავითვალისწინებთ, ნუთუ უფლება არა გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ისრაელებმა შეწყვიტონ დასახლებების შექმნის პოლიტიკის განხორციელება, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. რატომ უნდა აგოს პასუხი ამერიკელმა ხალხმა ისრაელის კურსისათვის, რომელიც არღვევს მშვიდობის მიღწევის პროცესს?

პრეზიდენტმა პირდაპირი პასუხი არ გასცა ამ კითხვას და დაიმოწმა, რომ ისრაელს თავისებურად „ესმის საერთაშორისო სამართალი".

პრესკონფერენციაზე პრეზიდენტს მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური მდგომარეობასთან დაკავშირებული კითხვები. „ბატონო პრეზიდენტო, — შეეკითხა ერთ-ერთი კორესპონდენტი, — თუ დავასახელებთ ზოგიერთ მაჩვენებელს, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ ინფლაციაზე, დავინახავთ, რომ ყველაზე მძაფრად ძვირდება სურსათი, სათბობი და ბინა. ამ ფასებზე აგრეთვე, როგორც ჩანს ყველაზე ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს რაიმე მარეგულირებელი ზემოქმედებანი. ხომ არ შეიძლება ამ საკითხში რაიმე გაუმჯობესება მანამ, სანამ იმდენად მოიმატებდეს ფასები, რომ ხალხი ვეღარ შეძლებს იმის შეძენას, რაც სინამდვილეში ძალიან სჭირდება?

პრეზიდენტმა აღიარა, რომ სურსათის, სათბობისა და ბინების ფასების ზრდის დარგში მისი ადმინისტრაცია „კონტროლს არ უწევს მდგომარეობას". პროდუქტების, კერძოდ, ხორცეულის ფასების განუხრელი მომატება მან ახსნა იმით, რომ ქვეყანაში აკლიათ ხორცი და მეცხოველეობის ზოგიერთი სხვა პროდუქტი „სახორცე ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ძალიან დიდი ნაკლებობის გამო".

ჯ. კარტერი შეეხო ენერგეტიკულ პრობლემას და განაცხადა, რომ „უკვე ამ ზაფხულში თავს იჩენს ბენზინის ნაკლებობის საფრთხე". ამასთან აღნიშნა, რომ „მზად უნდა იყვნენ უარესისათვის".

სენატორ ე. კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 3 მაისი. (საქდესი). ამერიკელმა სენატორმა ე. კენედიმ უარყო პრესაში გამოქვეყნებული ცნობები, თითქოს იგი პრეზიდენტ ჯ. კარტერის მოწინააღმდეგე იყოს და აპირებდეს 1980 წელს მისი ხელახალი არჩევის წინააღმდეგ გამოსვლას. თეთრ სახლში ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას ე. კენედიმ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ჯ. კარტერს. მე მოველი, თქვა მან, რომ პრეზიდენტი დაასახელებს თავის კანდიდატურას ხელახალი არჩევისათვის, მას მოიწონებენ (დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე — საქდესის კორ. შენიშვნა) და ხელახლა აირჩევენ. ამასთან ვაპირებ გამოვიდე მის მხარდასაჭერად.

მეორედ იზეიმეს

მადრიდი, 2 მაისი. (საქდესი). მშრომელმა ესპანეთმა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მეორედ აღნიშნა პირველი მაისი, როგორც მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული. ოთხ მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე, სტუდენტი და დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენელი გამოვიდა მადრიდის, ბარსელონის, ბილბაოს, სევილისა და ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქის ქუჩებში, რომ განეცხადებინათ თავიანთი მოთხოვნები — ბოლო მოეღოს უმუშევრობას, მეწარმეთა თვითნებობას, მიენიჭოს პროფკავშირებს მათი კანონიერი უფლებები.

მკვლელი უცნობია?!

თეირანი. 2 მაისი. (საქდესი). გუშინ უცნობმა პირებმა მოკლეს აიათოლა ხომეინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი მორთეზ მათხარი. ეს მეორე პოლიტიკური მკვლელობაა ირანში უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე.

მ. მათხარის მკვლელობა, ნათქვამია ირანის სახალხო პარტიის აქ გავრცელებულ განცხადებაში, უთუოდ არის ირანის რევოლუციის წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და რეაქციის დანაშაულებრივი შეთქმულების ნაწილი. ეს გვიკარნახებს ვიყოთ უფრო ფხიზლად, უმოწყალოდ ჩავახშოთ შეთქმულთა გამოსვლები, განვამტკიცოთ მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობა.

მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 2 მაისი (საქდესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივმა მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ისრაელის მხედრიონმა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებსა და ლიბანის სოფლებზე ამასწინანდელი თავდასხმის დროს გამოიყენა 155 და 175 მილიმეტრიანი კალიბრის მძიმე არტილერია და ახალი ნაღმები. ეს ნაღმები, რომლებიც ათასობით სასიკვდილო ნამსხვრევად ფეთქდება, ძალიან წააგავს კასეტურ ყუმბარებს. ისინი არაერთხელ გამოიყენა ისრაელმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ.

როგორც წერილშია ნათქვამი, უკანასკნელი თავდასხმის დროს 43 კაცი დაიხოცა და ასობით დაიჭრა.

ბოიკოტი დიქტატორულ რეჟიმს

სან-ხოსე, 2 მაისი. (საქდესი). სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა მოუწოდა ყველა ქვეყნის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტის მშრომელთა პროფკავშირებს ბოიკოტი გამოუცხადონ ნიკარაგუის დიქტატორულ რეჟიმს.

კოსტა-რიკის დედაქალაქში გავრცელებულ ფრონტის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ სომოსას ტერორის წინააღმდეგ, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ნიკარაგუელ მშრომელებს სჭირდებათ სხვა ქვეყნების მშრომელთა აქტიური მხარდაჭერა.

ფოტოინფორმაცია

ავსტრია. ვენაში მთავრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრის მშენებლობა, რომელსაც სურათზე ხედავთ. მის შენობებში უკვე აგვისტოში გადმოსახლდება ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია — მაგატე, იუნიდო და სხვ. ამ თანამედროვე კომპლექსის აგება 1973 წელს დაიწყო. აქ 5.000 მოსამსახურისათვის მუშაობის ყოველგვარი პირობა იქნება შექმნილი.

ი. ვიხოდცევის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოკლედ
ყოველი მხრიდან

3 მაისი

ბეირუთი. ისრაელი არ აპირებს გაიყვანოს თავისი ჯარები სირიის კუთვნილ გოლანის მაღლობებიდან, აგრეთვე მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირიდან, რომლის ოკუპაცია მან 1967 წელს მოახდინა. ეს ცინიკურად განაცხადა ტელ-ავივის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა.

პრემიერ-მინისტრმა კვლავ თქვა, რომ მისი მთავრობა არასოდეს არ დათანხმდება აწარმოოს მოლაპარაკება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

ლონდონი. დღეისათვის დანიშნულ პარლამენტის საყოველთაო არჩევნებთან დაკავშირებით ოლსტერში საბრძოლოდ გამზადებულია 30 ათასზე მეტი ინგლისელი ჯარისკაცი, პოლიციელი, რეზერვისტი და ეგრეთ წოდებული „ოლსტერის თავდაცვის პოლკის" მოსამსახურე. პოლიციელთა გაძლიერებული რაზმებია დაყენებული ჩრდილოეთ ირლანდიაში ყველა საარჩევნო უბანთან. ამგვარი ღონისძიებანი კიდევ უფრო გაამწვავებენ ისედაც გამწვავებულ ატმოსფეროს, რაც ოლსტერში მეათე წელია სუფევს ინგლისის ხელისუფალთა პოლიტიკის შედეგად. მარტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქ დაიღუპა 16 კაცი.

ვაშინგტონი. თეთრ სახლში დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრ მ. ოხირას შორის. მოლაპარაკების დაწყების წინ ჯ. კარტერმა და მ. ოხირამ ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით, რომლებშიც, კერძოდ, აღიარეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის სერიოზული უთანხმოებანი ვაჭრობის დარგში. ამავე დროს მათ ხაზი გაუსვეს, რომ განზრახული აქვთ განავითარონ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ორ ქვეყანას შორის. იაპონია მიგვაჩნია აზიაში ჩვენი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ქვაკუთხედად, განაცხადა ჯ. კარტერმა.

თეირანი. შაჰის რეჟიმის კიდევ სამი ყოფილი მოღვაწე სიკვდილით დასაჯეს უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში, იუწყება გაზეთი „ეთელაათი". სამივეს სხვადასხვა პოსტი ეკავათ ირანის პოლიციაში. (საქდესი).

საერთაშორისო
გასულ კვირას

△ დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის ● აგრესიის პლაცდარმი △ „არჩევნების" ფარსის შემდეგ.

მიმოხილვა

სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის გასულ კვირას დამთავრებული შეხვედრა — სათვალავით მეათე შეხვედრა, უაღრესად ნაყოფიერი იყო. მან ხელი შეუწყო ორი სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი მეგობრული თანამშრომლობის შემდგომ დაწინაურებას. ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა დიდი ხანია გვიჩვენებს იმის მაგალითს, თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა წყობილების ქვეყნებს, თუ ისინი ნამდვილად ესწრაფვიან მშვიდობას და თანაარსებობას თავიანთი ხალხების ინტერესებისათვის, მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დესტენის ოფიციალური სამუშაო ვიზიტი სსრ კავშირში დამთავრდა ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საკეთილდღეო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პროგრამის ხელმოწერით. სსრ კავშირმა და საფრანგეთმა კვლავ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ერთად იმოქმედონ საერთაშორისო ასპარეზზე ომის საფრთხის აღსაკვეთად, იმ დადებითი ტენდენციების დასამკვიდრებლად, რომლებიც მკაფიოდ დაისახა უკანასკნელ წლებში.

„70-იანი წლების მიჯნაზე, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურს მიმართა, — საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა ხელი შეუწყვეს შემობრუნებას დაძაბულობის შენელების პოლიტიკისაკენ. 80-იანი წლების მიჯნაზე დგება კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანა: ისე მოვიქცეთ, რომ დაძაბულობის შენელებამ საბოლოოდ გაიმარჯვოს მთელ დედამიწის ზურგზე; მშვიდობა და დაძაბულობის შენელება პოლიტიკური ტყუპები არიან. დაძაბულობის შენელების დამკვიდრება კიდევ უფრო განამტკიცებს მშვიდობას".

ვ. ჟისკარ დესტენმა სავსებით გაიზიარა ეს დასკვნა. მან გაიხსენა, რომ მალე თხუთმეტი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საფრანგეთი და სსრ კავშირი დაძაბულობის შენელების, თანხმობისა და თანამშრომლობის გზას დაადგნენ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამიერიდან დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ მათს მეცადინეობას ფართო პერსპექტივები გადაეშალა.

წარმატებული იყო ორმხრივ საკითხებზე მოლაპარაკებაც. მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავების გრძელვადიან პროგრამას მომდევნო ათი წლის პერიოდისათვის, 1990 წლამდე. როგორც ცნობილია, წინანდელი ათი წლის პროგრამა სრულდება ეკონომიკური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ასევე 10 წლით დაიდო 1971 წლის ოქტომბერში, როცა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ვიზიტად იყო საფრანგეთში. გადაწყვეტილია, რომ ამ შეთანხმებას, რომელშიც ჩვენი გრძელვადიანი თანამშრომლობის პრინციპებია ჩამოყალიბებული, 1990 წლამდე გაუგრძელონ ვადა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრის სხვა დიდმნიშვნელოვანი შემაჯამებელი დოკუმენტებიდან უნდა აღინიშნოს შეთანხმება 1980-1985 წლების ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმებათა სერია სხვადასხვა კონკრეტულ დარგში თანამშრომლობის შესახებ (მსოფლიო ოკეანის კვლევა, გამოსათვლელი ტექნიკა, ელექტრონიკა და კავშირგაბმულობა, რუსული ენის შესწავლა საფრანგეთში და ფრანგული ენისა — სსრ კავშირში).

მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგებს დიდი ინტერესით შეხვდნენ როგორც ჩვენს ორ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მსოფლიო პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალურ სისტემათა სახელმწიფოების მეგობრული ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების გზაზე.

ლიბანში ისევ იღვრება სისხლი.. სამხრეთი და ჩრდილოეთი ლიბანის დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს განუწყვეტლივ ესხმის თავს ისრაელის ავიაცია, უშენენ ცეცხლს ხომალდებიდან ისევე, როგორც ერთი წლის წინათ, როცა ისრაელმა ფართო შეიარაღებული აგრესია მოაწყო ქვეყნის სამხრეთში, იღუპებიან მშვიდობიანი მცხოვრებნი, იწვის და იქცევა პალესტინელთა ბანაკები.

ამას ხელს უწყობს ლიბანელ სეპარატისტთა ღალატი, რომლებმაც ტელ-ავივის წასისიანებით გამოაცხადეს სამხრეთ ლიბანში ეგრეთ წოდებული „თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფო". ამ მინი-სახელმწიფოს შექმნა 600-700 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე, სადაც ასი ათასამდე კაცი ცხოვრობს, გამოაცხადა მაიორმა ჰადადმა, რომელიც ერთ დროს ლიბანის არმიიდან გაიქცა და სახელი გაითქვა ავანტიურისტობით. ისრაელი თავისი მარიონეტების მეშვეობით ცდილობს ეს ტერიტორია გადააქციოს პლაცდარმად ლიბანის წინააღმდეგ შემდგომი აგრესიისათვის, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებთან გასწორებისათვის. „ეგრეთ წოდებული „ლიბანის თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს" გამოცხადება უშუალო შედეგია ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგებისა და იმ განუწყვეტელი ცდებისა, რომ ახლო აღმოსავლეთს ამერიკული ჩაჲ მოახვიონ თავს", ნათქვამია ლიბანის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

ის ფაქტი, რომ ჰადადი და ძმანი მისნი ისრაელის მარიონეტები არიან, არავის ეჭვს არ იწვევს. ამას დასავლეთის დეპეშათა სააგენტოებიც კი აღიარებენ. „თავისუფალი ლიბანი", — იუწყება როიტერის სააგენტო, — მთლიანად არის დამოკიდებული ისრაელზე, და მის სტატუსს უზრუნველყოფს ისრაელის მიერ შეიარაღებული ჰადადის რამდენიმე ასეული მოლაშქრის საცეცხლე ძალა... 155-მილიმეტრიანი ზარბაზნები და ტანკები „სუპერშერმანი", რომელთა მეშვეობითაც ემიჯნება ჰადადი თავის ქვეყანას, ისრაელის გამოგზავნილია, და, როგორც დასავლელი დიპლომატები ამბობენ, იგი ვერ უგულებელყოფს ტელ-ავივის ნება-სურვილს".

ისრაელის მიზანია დატოვოს მუდმივი დაძაბულობის კერა ლიბანის მიწა-წყალზე, გათიშოს ეს არაბული სახელმწიფო, რომელიც თავის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. დაბოლოს, ჩაახშოს სამშობლოწართმეული, მრავალტანჯული პალესტინელი ხალხის წინააღმდეგობა, მოსპოს იგი ფიზიკურად. ამავე დროს ტელ-ავივი ცდილობს არ შეასრულებინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს თავიანთი მისია, რომლის მიზანია აღადგინონ ქვეყნის სამხრეთში ლიბანის სახელმწიფოს ხელისუფლება. შეერთებული შტატები, რომელიც ნიადაგ უწევს ისრაელს სამხედრო და ფინანსურ დახმარებას, აშკარად სოლიდარობს ტელ-ავივის აგრესიულ პოლიტიკას, ისწრაფვის გათიშოს არაბული სამყარო და თავს მოახვიოს მას „კემპ-დევიდური მოწესრიგება".

მაშ, ასე, როდეზიაში დამთავრდა „არჩევნები". დასავლეთის პრესაც კი არ ინახავს საიდუმლოდ იმას, თუ რად დასჭირდა სმიტს გაეთამაშებინა „ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობის" სპექტაკლი. სმიტი ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, აფრიკელებისათვის მიეღებინებინა მონაწილეობა კენჭისყრაში. იგი ისახავდა ორ მიზანს: ჯერ ერთი, შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს რასისტთა მიერ თავსმოხვეულ შინაგან მოწესრიგებას, და, მერე, მიეცა ვაშინგტონისა და ლონდონისათვის იურიდიული გამართლება, რომ ეცნოთ ამ ფსევდოარჩევნების შედეგების საფუძველზე შექმნილი მარიონეტული მთავრობა.

დასავლეთმა ბევრი რამ იღონა საამისოდ, რათა რასისტებს დახმარებოდა ამ ფარსის მოწყობაში. 70-ზე მეტმა უცხოელმა მეთვალყურემ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ გაგზავნილმა 50-კაციანმა დელეგაციამ, როდეზიას მიაშურა, რათა თავიანთი თანდასწრებით „კანონიერი" ხასიათი მიენიჭებინათ სმიტის წამოწყებისათვის. ამასთან დაკავშირებით ფრანგული „მატენი" წერდა: დასავლეთის მემარჯვენე ძალების მთელი „ნაღები" სოლსბერიში გაემგზავრა, რათა „არ შეემჩნიათ" ქვეყანაში გამოცხადებული საალყო წესები და ზემოქმედება, რომელსაც რასისტები ახდენენ აფრიკელებზე, და დაედასტურებინათ რასისტული არჩევნების „თავისუფალი ხასიათი". ასეთმა მოქმედებამ კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ დასავლეთი აქტიურად უჭერს მხარს როდეზიის რეჟიმს.

რისთვის აკეთებენ ამას? როგორც სოლსბერიში აღიარა ამერიკის დელეგაციის წევრმა კონგრესმენმა ს. სოლარზმა, როდეზიის „არჩევნების კანონიერება" დასავლეთს შესაძლებლობას აძლევს არა მარტო ცნოს სოლსბერის მთავრობა, არამედ ოფიციალურადაც აიღოს ხელი ეკონომიკურ სანქციებზე როდეზიის მიმართ.

აი, რა საფასურს სთავაზობს დასავლეთს რასისტული რეჟიმის მხარდაჭერისათვის მისი მეთაური ი. სმიტი. „როგორც კი გაუქმდება ეკონომიკური სანქციები, ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ ვრცელი შემოსავლიანი სექტორები უცხოელი კაპიტალის დაბანდებისათვის", — განაცხადა მან. (საქდესი).

რედაქტორის სვეტი

ამერიკელ კონგრესმენებთან გამოთხოვების სადღეგრძელო, ქართველთაგან „არაგვში“ თქმული

„ჩემის მხრივ, — ხაზი გაუსვა ამერიკელმა კონგრესმენმა თომას დაუნიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ა. შევარდნაძესთან თბილისში შეხვედრისას, — ყველა საშუალებით ხელს შევუწყობ იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა შეაჩერონ სახიფათო გამალებული შეიარაღება“.

გაზ. „იზვესტია“, 22 აპრილი, 1979 წელი.

კონგრესმენმა ჩარლზ ვენიკმა ამხანაგ ედუარდ შევარდნაძესთან მიღებაზე განაცხადა, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებისთანავე სთხოვს კონგრესს გააუქმოს ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე საბჭოთა კავშირისათვის უარის თქმის კანონპროექტი, რომლის ერთ-ერთი თანაავტორიც (კონგრესმენ ჯეკსონთან ერთად) თვითონ არის. შემდეგ ეს განცხადება მან მოსკოვსა და ვაშინგტონშიც გაიმეორა.

ყოველი ოცდაოთხი საათი, გატარებული პოლიტიკაში, ჭეშმარიტების ძიებაში, ცეკვა-თამაშსა თუ სიყვარულში, სულ ერთია, მაინც ადამიანის ცხოვრების შემცირებული, შეკვეცილი ბიოლოგიური ციკლია.

დიდი ცხოვრება დაბადებით იწყება, მცირე, სადღეღამისო — გაღვიძებით. სიცოცხლის ბოლო სიკვდილია, მაგრამ ძილი სიცოცხლის შენელებული, შეყოვნებული პროცესია. ამდენად ყოველი დილა, გათენება, გაღვიძება, რაღაც მნიშვნელობით, დროის მიკროციკლში დაბადებას ნიშნავს, ცხოვრების დაწყებას, ახალ მიზანსა და ახალ იმედს, სასიკეთო პერსპექტივას.

აი, საიდან მოდის ყველა ხალხის უპირატესი სწრაფვა და თაყვანი დილისადმი, გათენებისადმი, გაღვიძებისადმი. ზოგიერთი ერი დილას სიკეთეს, ბედნიერებას უკავშირებს, სხვა ადრიან ადგომას მეტ სიცოცხლეს არქმევს და ა. შ.

თქვენ, ამერიკელებსაც ხომ გაქვთ ანდაზა: „ბატკანთან ერთად დაიძინე, ოღონდ ტოროლასთან ერთად ადექი“.

ქართველები კი ასე იტყვიან: „კაცმა კაცს რითი აჯობა და — ადრე ადგომითო“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველები არავის ჩამორჩებიან დილის სიყვარულში. მე მოკრძალებით ვიტყოდი, იქნებ საქართველოში დილის კულტს უფრო მეტი ძალა და ზეგავლენა აქვს, ვიდრე სადმე. ამის დასტურად, ალბათ, ისიც გამოდგებოდა, რომ ქართულ ენაში დილას, გათენებას (თანაც მზის ამოსვლამდე!) ათზე მეტი სინონიმი აქვს.

მე ბოდიშის მოხდა მომიწევს პატივცემულ თარჯიმანთან — მათი თარგმნა გაუჭირდება. მაგალითად: ალიონი, უთენია, ცისკარი, რიჟრაჟი, გარიჟრაჟი, განთიადი, დაფიონი, აისი, სისხამი... იმერლებს რიბი-რაბოც აქვთ.

ჩემი ხალხის მიერ ასე ლაღი აზრით, ასე სრული არსებით განთიადის, ამ კეთილის მომასწავებელი ჟამის, აღქმის მადლი მე უფლებას მაძლევს შემოგთავაზოთ ხვალინდელი დილის გათენების, ყოველივე სასურველი საწყისის, სანდო პერსპექტივის სადღეგრძელო.

ხოლო ის ისტორიული ფაქტი, რომ ამ ულამაზესი, გაშლილი, გაჩახჩახებული დარბაზის ჭერი და ჭალი დღეს ჩვენი პლანეტის ორი უძლიერესი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი დონის წარმომადგენლებს აერთიანებს, სახელმწიფოებისა, რომელთა ურთიერთობა ბევრად განსაზღვრავს კაცობრიობის ბედსა და მომავალს, იმას, მრგვალი დარჩება თუ გაბრტყელდება მრავალტანჯული, ბებერი, მაგრამ უჭკნობი, ზურგმაგარი დედამიწა — განსაკუთრებულ ჟღერადობასა და შინაარსს ანიჭებს ამ სადღეგრძელოს, საკმარის, შესაფერის ანტურაჟს ქმნის, რათა ხმამაღლა, თამამად წარმოვთქვათ: კაცობრიობის ხვალინდელ მშვიდობიან დილას გაუმარჯოს, მისი საიმედო პერსპექტივისა იყოს.

ალავერდი თქვენთან, ბატონო თომას დაუნი და ბატონო ჩარლზ ვენიკ!



თბილისი დამშვენდა

თბილისში საპირველმაისოდ რამდენიმე ახალი კულტურის დაწესებულება ჩადგა მწყობრში. ქალაქის მრავალრიცხოვან პარკებს შეემატა კარგი, ლამაზი პარკი „ახალგაზრდული“. იგი 26 კომისრის რაიონში, ახალი ავტოვოგზლის მიდამოებს ამშვენებს.

გლდანის საცხოვრებელ მასივში პირველი მაყურებელი მიიღო ახალმა კინოთეატრმა „მეგობრობამ“.

სურათებზე: ახალი კინოთეატრი „მეგობრობა“; ხეებს რგავენ პარკ „ახალგაზრდულში“.

მ. კვირიკაშვილის და ა. ვაჩიანის ფოტო.

ფართო გზა ახალ საბჭოურ ტრადიციებს

ორმაისობა ქუთაისში

ქალაქგარეთ, მუხნარის აგარაკზე მერვე წელია იმართება ტრადიციული ორმაისობა — გაზაფხულისა და სიცოცხლის ნამდვილი დღესასწაული, რომელსაც კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა, ტურისტულმა კლუბმა „ოქროს ჩარდახმა“ და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა ჩაუყარეს საფუძველი.

წლეულს ორმაისობაში ოცი ათასამდე ქუთაისელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და ავტოქარხნის წარმომადგენლები. მოეწყო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში — ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, დოლში და სხვ. დიდი ინტერესი გამოიწვია კულინარული ნაწარმის გამოფენამ.

მნახველები თავიანთი ოსტატობით მოხიბლეს თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „წითელქუდა“.

გ. მეფისაშვილი.

გაცოცხლებული სიმღერა

აღდგენილია ვანო სარაჯიშვილის ხმა

ქართული სამუსიკო კულტურის სახელმოხვეჭილ მოღვაწეთა შორის ვანო სარაჯიშვილის სახელი ხალხის განსაკუთრებული სიყვარულით არის გამთბარი. ჟამთა ვითარებამ ვერ დაჩრდილა დიდების შარავანდედი, რომლითაც სიცოცხლეშივე შემკული იყო „საქართველოს ორფეოსი“.

დღეს თითზე ჩამოსათვლელია ადამიანები, რომელთაც ახსოვთ ცოცხალი ვანოს მომაჯადოებელი მღერა, მოწმენი არიან მისი, როგორც საოპერო მომღერლის, ტრიუმფისა. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მათი მომდევნო თაობაც პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებს სარაჯიშვილს, თუმცა ვანოს მიერ დამღერებული ორიოდე უხეირო გრამჩანაწერის გარდა არაფერი მოუსმენიათ. მართლაც, რადიოთი და ტელევიზიით გვესმოდა სარაჯიშვილის მიერ ძველ ფონოგრაფის ლილვაკებზე ჩაწერილი ქართული სიმღერა-რომანსები, რომელთა მოსმენას, სევდანარევ სიამოვნებასთან ერთად, სინანულის გრძნობაც თან დაჰყვებოდა: აფსუს, სად იყო იმ დროს ისეთი სრულყოფილი ხმის ჩამწერი აპარატურა, დღეს რომ ზუსტად გადმოცემს მუსიკალური პიესების რეალურ ჟღერადობას, მომღერლის ხმის სილამაზეს, განუმეორებელ ტემბრსა და შესრულების ოსტატობის ნიუანსებს“, — გავიფიქრებდით ხოლმე, როდესაც ვანოს გრამჩანაწერებს ვუსმენდით...

მაგრამ მოხდა „სასწაული“: სარაჯიშვილის ჩანაწერების რესტავრაციის შედეგად აღსდგა მისი ხმა, შესრულების თავისებური ნირი!

ჩვენი საზოგადოების უღრმესი მადლობის ღირსია საქართველოს რადიომაუწყებლობა, რომლის ინიციატივითა და ხელშეწყობით განხორციელდა ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, დაკავშირებული უაღრესად შრომატევად პროცესთან. საჭირო იყო ძველ გრამფირფიტებზე ჩაწერილი ნაწარმოებების გადატანა მაგნიტოფონის ფირზე, ჟღერადობის გაწმენდა უხეირო ობერტონებისაგან, ზუსტი ტონალობის დადგენა, სიჩქარის მომატება, საფორტეპიანო პარტიის ოდნავ „უკან დახევა“ და მომღერლის ხმის წინა პლანზე წამოწევა. მთელი ეს დაძაბული მუშაობა მოსკოვის ხმის ჩაწერის ცენტრალური არქივისა და გრამჩანაწერების საკავშირო ფირმა „მელოდიაში“ სანაქებოდ აქვს შესრულებული რადიომაუწყებლობის მუსიკალური რედაქციის გამგეს მუსიკისმცოდნე ლალი ვარდანაშვილს, რომელმაც არ დაიშურა არც დრო და არც ენერგია, რათა ღირსეულად დაეგვირგვინებინა ეს დიდებული საქმე.

ახლა უკვე სულ სხვაგვარად, გაცილებით უფრო მკაფიოდ და შთამბეჭდავად გაისმის სარაჯიშვილის ხმა. უსმენთ მის ურმულს და განცვიფრებთ ამ ევროპულად განათლებული მომღერლის მიერ თითოეული ფრაზის შესრულებაში წმინდა „გლეხური“ რიტმულ-ინტონაციური ხვეულების გამოყენება, გულწამტანი მიამიტობით წარმოთქმული ყოველი სიტყვა. ანდრია ყარაშვილის რომანსებში „დაგდომილი სნეული“ და „ისევ შენ“ (დიდებული პოეტ-ლირიკოსის კოტე მაყაშვილის ლექსებზე) მომღერალი არაჩვეულებრივი ექსპრესიით გადმოცემს მძიმედ დაავადებული ადამიანის „დამწვარი გულის კვნესას“, მის უკანასკნელ სურვილს: სატრფოს ხელით „დახუჭოდა თვალები“. სხვა მაგალითებს შორის აღსანიშნავია მელიტონ ბალანჩივაძის რომანსი „როდესაც გიცქერ“, რომლის შესრულებაში აშკარად ვლინდება ვანო სარაჯიშვილის, როგორც მომღერლის რომანტიკული ბუნება. რომანსის ცალკეული სიტყვის თუ ფრაზის შინაარსიდან გამომდინარე, იგი ხან აჩქარებს, ხან ანელებს კომპოზიტორის მიერ დადგენილ ტემპს, კანტილენურ შესრულებას ცვლის დეკლამაციურობით და პირიქით, ნებისმიერად ასრულებს საწყის მელოდიას და ა. შ. მაგრამ კლასიკური შესრულების წესების „დარღვევა“ იმდენად სარაჯიშვილისეულია, იმდენად გამართლებულია მომღერლის აგზნებული, ალალმართალი ბუნებით, რომ მის მიერ სხვაგვარი შესრულება წარმოუდგენელია. ეს ეხება არა მარტო ამ რომანსს, არამედ ყოველ განახლებულ ჩანაწერს, რომლებიც ცალკეული, გამოუსწორებელი ბგერითი ხარვეზების მიუხედავად, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ მსმენელზე და ნათელ წარმოდგენას უქმნიან მას ვანო სარაჯიშვილის ხმის სილამაზესა, ფრაზირების მოქნილობასა და წარმტაც ემოციურ სითბოზე.

საქართველოს რადიომაუწყებლობას განზრახული აქვს განაგრძოს ეს სანაქებო წამოწყება. იგულისხმება სანდრო ინაშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის, ლადო გრემესაშვილის, ლადო კავსაძის და სხვათა ძველი გრამჩანაწერების ასეთივე რესტავრაცია. ძვირფასი შენაძენი იქნება აგრეთვე არტემ, ანანია და ლადიკო ერქომაიშვილების მიერ 1907-1911 წლებში ჩაწერილი და თანამედროულად ამოვანებული გურული ხალხური სიმღერები და სხვ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს რთული მოღვაწეობა ღირსეულად იქნება გადაწყვეტილი.

პავლე ხუჭუა.

ფეხბურთი

ნადავლით დაბრუნებას გისურვებთ!

თბილისი, 2 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი.

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (მუჯირი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, მინაშვილი (ყიფიანი), ჩელებაძე, შენგელია.

„ყაირათი“: უბიკინი, კოჩუბინსკი, ტალგაევი, ბაიმაკოვი, გოსტენინი, ნიკიტენკო, ნეხტიი (იგამბერდიევი) ლიხოშერსტნიხი (შადიევი), ფომინი, სიჩკორუკი, პინჩუკოვი.

მსაჯი — ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

გოლები — ჩელებაძე (87-ე წუთზე პენალტით და 89-ე წუთზე).

გაფრთხილებული არიან: უბიკინი და იგამბერდიევი.

დუბლიორები — 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ჯოხაძემ (მე-7 წუთზე), კაკილაშვილმა (75-ე) და ლექსინმა (81-ე წუთზე პენალტით).

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ თბილისის დინამოელები წლევანდელი ჩემპიონატის თითქმის ყოველ კალენდარულ მატჩში თავიდანვე აშკარა უპირატესობას

„დინამო“ (თბილისი) - „ყაირათი“ (ალმა-ათა) — 2:0 (2:0).

აღწევენ და მას თამაშის ბოლომდე არ თმობენ. გამონაკლისი არც ალმაათელებთან შეხვედრა გახლდათ. თანაც ეს ისეთი უპირატესობა იყო, როცა ყოველ წუთს მეტოქის კარის აღებას ელი, გწამს რომ ჰა და ჰა, საფეხბურთო სანახაობის ყველაზე მეტად სასურველი მომენტის მოწმე გახდები.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სანუკვარ მომენტამდე 86 წუთი ისე მიიწურა, რომ მაყურებელმა გოლი ვერ იხილა, ვერ იხილა ის, რითაც ფეხბურთი აგრერიგად ლამაზია. ჩვეულებრივ, ალმავლობის გზაზე მყოფ გუნდს არ უკიჟინებენ, ამა და ამ რგოლში ესა და ეს ხარვეზი გაქვსო. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩემპიონის თამაშს რამდენადმე დახვეწა, და რაც მთავარია, მის იერიშებს უფრო დამაჯერებელი დამთავრება სჭირდება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხარვეზების მკურნალი უმთავრესად დროა, აგრეთვე, ტრავმირებულ მოთამაშეთა გამოჯანმრთელება და მწყობრში ჩადგომა... დავუბრუნდეთ ამ წერილის დასაწყისში გამოთქმულ აზრს — დინამოელები თითქმის ყოველ კალენდარულ მატჩში თავიდანვე აშკარა უპირატესობას აღწევენ და მას თამაშის ბოლომდე არ თმობენ. სწორედ ასეთ ვითარებაში, როცა უპირატესობა გოლის ზღვარამდე მიდის, ზოგ მეტოქეს სხვა გზა აღარა რჩება და აკრძალულ ილეთს იყენებს ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც, როცა მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, ალმაათელები უხეშად ეთამაშნენ ქორიძეს, დაამშავეს და... 11-მეტრიანი საჯარიმო ოსტატურად დაარტყა ჩელებაძემ. იმავე ჩელებაძემ ორი წუთის შემდეგ ლამაზი გოლით კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა მასპინძელთა გამარჯვება.

ახლა თბილისელებს მომდევნო ორ ტურში გასვლითი მატჩები ელით „კრილია სოვეტოვთან“ და „სპარტაკთან“.

გზა მშვიდობისა და შინ ნადავლით დაბრუნება ვუსურვოთ მათ

ჯ. ენუქიძე.

სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

დრო კი ასე მცირეა...

ნიჩბოსნობა

ვინც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლებს თვალს გადაავლებს, შეამჩნევს, რომ ეს თითქმის ოცწლიანი ისტორია ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: პირველი — როცა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები სასპარტაკიადო შეჯიბრებებში (და სხვა საკავშირო თუ საერთაშორისო სტარტებშიც) კარგად გამოდიოდნენ, გვყავდნენ ჩემპიონები, პრიზიორები, ქვეყნის ნაკრების წევრები და, ასე გასინჯეთ, ოლიმპიური ოქროს მედალოსანიც კი. მეორე პერიოდია უკანასკნელი სპარტაკიადების პერიოდი, როცა საქართველოს წარმომადგენლებს პრიზიორთა შორის კი არა, ათეულებშიც ველარ ვხვდებით.

ეს ჩამორჩენა უფრო თვალსაჩინო გახდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში და მის შემდეგ გამართულ სტარტებში. სიგნალი საგანგაშო იყო და საქართველოს სპორტკომიტეტმა საგანგებო ღონისძიებებიც გაატარა, რომ VII სპარტაკიადისათვის მდგომარეობა გამოსწორებულიყო. მაინც რა გაკეთდა, ვაღწევთ თუ არა მიზანს?

ჩამორჩენის თავიდათავი ამ სახეობის მეტად ვიწრო გეოგრაფია გახლავთ. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა სულ რამდენიმე ქალაქშია დანერგილი და იქაც ჯგუფები იმდენად მცირერიცხოვანია, რომ რესპუბლიკურ ტურნირებში მთლიანად დაკომპლექტებული ნაკრების გამოყვანა არც ერთს არ ძალუძს, მათ შორის თვით თბილისს, აჭარასა და აფხაზეთსაც.

ადრე ინვენტარის ნაკლებობას უჩიოდნენ. ეს პრობლემა ახლა მნიშვნელოვანწილად დადებითად გადაიჭრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი ნიჩბოსნები მაინც არა გვყავს, რომლებსაც სასპარტაკიადო „უღლის“ მძლავრად გაწევა შეეძლებათ.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატების მზადების დონის წლევანდელ ორგზის შემოწმებას მაინცდამაინც დიდი იმედი არ მოუცია. თებერვალში და მარტის დამლევს ფოთში გამართულმა რესპუბლიკურმა ტურნირებმა ნათლად დაგვანახა, რომ რესპუბლიკის არც ერთ ქალაქსა და ავტონომიურ რესპუბლიკას არ შესწევს ძალა პროგრამის ყველა სახეობაში ისპარეზოს.

ამ სახეობის სპორტის მეორე, მთავარი პრობლემა — ნორმალური დისტანციების მოწყობის საქმე გადაუჭრელია დღესაც, როცა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სტარტებამდე ასე ცოტა დრო დარჩა. არც თბილისის ზღვაზე, არც სიონში და განსაკუთრებით ფოთში — „კაპარჭაზე“ არ მოხერხდა ბილიკების მოწყობა, ბილიკები კი ის საშუალებაა, რომლის შეუჩერევლად დიდ წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ჯერ კიდევ შარშან გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელობამ ფოთში ამ გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციას მისცა განკარგულება კაპარჭის გაწმენდის შესახებ. მუშაობაც დაიწყეს და... აღარ დაამთავრეს.

საქართველოს ნაკრების წევრებს ფოთში ნორმალური ცხოვრების პირობებიც არ ჰქონდათ. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელთა დაპირების მიუხედავად, ფოთის სასტუმროში ჩვენი სპორტსმენები არ შეუშვეს. ამიტომაც იძულებული გახდნენ გამოეზამთრებინათ კემპინგებში, რომლებიც არ თბებოდა. ვარჯიშზე დასველებულ სპორტსმენებს იქ ტანსაცმლის გაშრობის საშუალებაც კი არ ჰქონდათ.

ნიჩბოსანთა იმ ნაკრებში, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში უნდა ისპარეზოს, გუნდის წევრთა 50 პროცენტი მაინც სპორტის ოსტატი უნდა იყოს, ჩვენ კი რა, ოსტატების ნაკლებობაც მძიმე ტვირთად გვაწევს, ხოლო სპორტსმენმა ოსტატის ნორმატივი რომ შეასრულოს, სათანადო ხელშეწყობა უნდა. ახლა ნაკრების წევრთა შედეგები გაცილებით უკეთესია, მაგრამ უკანასკნელმა შეჯიბრებამ მაინც გული დაგვწყვიტა, რადგან სასპარეზოდ არავის არცერთი სრულად დაკომპლექტებული კოლექტივი არ გამოუყვანია.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ამ სახეობაში საკავშირო სარბიელზე ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს, ხოლო ორი მათგანი — „განთიადის“ სპორტსმენები ი. ეფიმოვა და ი. კიაველიანინენი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებშიც ჩაირიცხნენ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ისინი ხალხთა სპარტაკიადაზე აუცილებლად ფინალისტთა შორის იქნებიან. ფინალში გასვლის დიდი შანსი აქვთ აგრეთვე მესაჭიანი ოთხადგილიანით მოასპარეზე ქალებს.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლის, ოლიმპიური ცენტრის გულმოდგინებამ, სპარტაკიადისთვის გეგმაზომიერმა ინტენსიურმა სამზადისმა საგრძნობლად აამაღლა ამ სახეობაში რესპუბლიკის ნაკრების წევრთა მაჩვენებლები. მართალია, ისინი საუკეთესო სპორტულ ფორმაში ჯერ არ არიან, მაგრამ მათგან მწვრთნელები ამას ჯერჯერობით არც მოითხოვენ. ყველაფერი ისეა გაანგარიშებული, რომ ნიჩბოსნებმა თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი სწორედ მოსკოვში, კრილატსკოეს არხზე გამართულ შეჯიბრებებში გამოავლინონ.

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობისა არ იყოს, აკადემიური ნიჩბოსნობაც რესპუბლიკის მხოლოდ 3-4 ქალაქშია დანერგილი. რაც, რა თქმა უნდა, ძლიერი, ნიჭიერი სპორტსმენების შერჩევის საშუალებას ზღუდავს.

ერთი ცხადია, ახლა ამ სახეობაში რესპუბლიკაში სწორი გზაა აღებული, ოღონდ საჭიროა ყველა სპორტსაზოგადოებამ, უწყებამ, ყველა ქალაქმა, სადაც ამის შესაძლებლობაა, ძალების მაქსიმალური მობილიზებით იმუშაოს.

ახლა ინვენტარის ნაკლებობას ველარავინ დაიჩივლებს — იგი რესპუბლიკას საკმარი რაოდენობით აქვს. არიან მონდომებულნი, ნიჩბოსნობის მოყვარული ახალგაზრდებიც, განსაკუთრებით ვაჟთა შორის, ამ სახეობის სპორტში ქალთა ჩაბმისათვის კი უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.

ო. გელაშვილი.

არქივარიუსის ჩანაწერები

ბაიდარა და კანოე — საქართველოს სპორტსმენთა შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). მოსე მამულოვი და გრიგოლ ურთაშვილი (ორადგილიანი კანოე, 10.000 მეტრი — 51.07,4) — III ადგილი.

III სპარტაკიადა (1963 წელი). ჯიმშერ ხოშებაევი (ერთადგილიანი კანოე, 10.000 მეტრი — 53.35,6) — III ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). ავერი მატკავა (ერთადგილიანი ბაიდარა, 1.000 მეტრი — 4.05,6) — III ადგილი, ვლადიმერ პოკრიშჩენკო და ბორის მხეიძე (ორადგილიანი ბაიდარა, 1.000 მეტრი — 3.39,2) — III ადგილი.

V სპარტაკიადა (1971 წელი). ავერი მატკავა და ვიქტორ კრატასიუკი (ორადგილიანი ბაიდარა, 3.50,34) — I ადგილი; ზურაბ ხოფერია და ნოდარ ჩარაევი (ორადგილიანი კანოე, 4.20,63) — I ადგილი; ავერი მატკავა, ვიქტორ კრატასიუკი, ალექსანდრე მაქსიმენკო და თენგიზ ხუბერაშვილი (ოთხადგილიანი ბაიდარა, 3.23,08) — III ადგილი.

საქართველოს სპორტსმენთა გუნდური ადგილები სპარტაკიადებში: 1956 წელი — V, 1959 — VI, 1963 — VI, 1967 — VI, 1971 — III, 1975 — XI.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). ვიქტორ კრატასიუკი (ორადგილიანი ბაიდარა) — I ადგილი ნიკოლოზ გორბაჩოვთან ერთად (1.000 მეტრი — 3.31,23).

აკადემიური ნიჩბოსნობა — საქართველოს სპორტსმენთა შედეგები

V სპარტაკიადა (1971 წელი). გივი ნიკურაძე, ოლეგ ქაფიანიძე, აკაკი კაპანაძე, ნუგზარ ფილიევი, ბეჟან ხურციძე, ჯიბილო გოგლიჩიძე, სერგი ბარიშევი, ოთარ ბერიძე (მესაჭე), ომარ ბერაძე (რვაადგილიანი ნავი, 5.45,5) — III ადგილი.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). გივი ნიკურაძე (რვაადგილიანი ნავი, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში) — III ადგილი.

საქართველოს სპორტსმენთა გუნდური ადგილები სპარტაკიადებში: 1963 წელი — VIII, 1967 — XIV, 1971 — IX.

საქართველოს ნიჩბოსანთაგან ოლიმპიადაში არავის უსპარეზია.



1900 და 1936 წლებიდან...

აკადემიური ნიჩბოსნობა I ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს, მაგრამ უამინდობის გამო ამ სახეობაში შეჯიბრება არ გამართულა. პირველი ოლიმპიური მედლები გათამაშდა 1900 წელს — პარიზში. მას მერე აკადემიური ნიჩბოსნობა ოლიმპიადების მუდმივი ბინადარია. მონრეალის ოლიმპიადაში პირველად ქალთა ეკიპაჟებმაც ისპარეზეს. აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (ფისა) დაარსდა 1892 წელს.

ბაიდარებითა და კანოეებით ასპარეზობა პირველად 1936 წლის ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს. მანამდე კი საჩვენებელი გამოსვლები მოეწყო (პარიზი, 1924 წელი VIII ოლიმპიადა). ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (იკფ) დაარსდა 1946 წელს.

სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ 8 მატჩი

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის კიდევ 8 მატჩი. გთავაზობთ ამ შეხვედრების შედეგებსაც:

„დინამო“ (მინსკი)-„ნეფთჩი“ — 3:0

„ზარია“-„არარატი“ — 1:1

„ჩერნომორეცი“-„ფახთაქორი“ — 2:1

„შახტიორი“-„დინამო“ (მოსკოვი) — 2:0

ასკ (დონის როსტოვი)-„ლოკომოტივი“ — 0:0

„ზენიტი“-ცსკა — 1:2

„სპარტაკი“-„დინამო“ (კიევი) — 1:0

„ტორპედო“-„კრილია სოვეტოვი“ — 2:0

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 4 მაისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი“	6	1	0	16-2	13
„დინამო“ (თბ.)	6	1	0	13-1	13
ცსკა	4	1	2	12-7	9
„დინამო“ (მ.)	4	1	2	6-4	9
„არარატი“	2	5	0	7-4	9
„ფახთაქორი“	3	2	2	9-11	8
„ჩერნომორეცი“	3	2	2	8-6	8
„სპარტაკი“	3	2	2	7-7	8
„დინამო“ (მნ.)	2	3	2	7-5	7
„დინამო“ (კ.)	2	3	2	5-5	7
ასკ (როსტ.)	1	5	1	6-8	7
„ზენიტი“	2	2	3	8-10	6
„ტორპედო“	2	2	3	6-6	6
„ლოკომოტივი“	1	4	2	9-8	6
„ნეფთჩი“	1	1	5	1-11	3
„ზარია“	0	3	4	3-9	3
„კრ. სოვეტოვი“	1	0	6	4-11	2
„ყაირათი“	0	2	5	3-15	2

ნაკრები ემზადება

5 მაისს მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი. თბილისის „დინამოდან“ საბჭოთა ნაკრებში მიწვეული არიან **დარასელია, ქორიძე** და **შენგელია**. ეს შეხვედრა უკანასკნელი რეპეტიცია იქნება ევროპის პირველობის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში უნგრეთის გუნდთან მატჩის წინ.

უნგრელებმა გუშინწინ კონტინენტის პირველობის შესარჩევი შეხვედრა გამართეს საბერძნეთის ნაკრებთან. ბუდაპეშტში მოწყობილი ეს ასპარეზობა ფრედ (0:0) დამთავრდა. ახლა ამ ჯგუფში საბერძნეთის ნაკრებს ხუთი მატჩიდან ხუთი ქულა აქვს, ფინეთისას — სამიდან ოთხი, უნგრეთისას — ოთხიდან სამი, საბჭოთა კავშირისას — ორიდან ორი.

ექვსი ტურის შემდეგ

გაიმართა მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის მეექვსე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრების მონაწილე საქართველოს გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კოლხეთი“ (ფოთი)-„დინამო“ (სოხუმი) — 1:0, „გურია“ (ლანჩხუთი)-„დინამო“ (ბათუმი) — 3:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„დინამო“ (ზუგდიდი) — 3:0, „დინამო“ (კიროვი)-„დილა“ (გორი) — 3:0. ექვსი ტურის შემდეგ 8-8 ქულით ლიდერობენ ლანჩხუთის „გურია“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, სტეფანაკერტის „ყარაბახი“, აბოვიანის „კოტაიკი“ და ორენბურგის „გაზოვიკი“. ფოთის „კოლხეთს“, გორის „დილას“, ნახიჩევანის „არაზს“ და იჟევსკის „ზენიტს“ 7-7 ქულა აქვთ.

ჭადრაკის დაფებთან

მონრეალში მიმდინარე დიდოსტატთა ტურნირი დასასრულს უახლოვდება. თექვსმეტი ტურის შემდეგ დაწინაურდა ტალი, რომელმაც მეთხუთმეტე ტურში დაამარცხა უნგრელი პორტიში, ხოლო მეთექვსმეტეში დაუზავდა მსოფლიოს ჩემპიონს კარპოვს. ახლა ტალს 11 ქულა აქვს. კარპოვი 10,5 ქულით მეორე ადგილზეა. პორტიშს 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

იუგოსლავიის ქალაქ ბანიალუკაში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თავი ისახელა ბაქოელმა მოსწავლემ გარი კასპაროვმა. მან 15 შესაძლებლიდან 11,5 ქულა დააგროვა, პირველობა და დიდოსტატობის პირველი ქულაც მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს ულფ ანდერსონმა (შვეცია) და იან სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) — 9,5-9,5 ქულა. მსოფლიოს ექსჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი 9 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა.

საფრანგეთის ქალაქ იერში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ათი სპორტსმენი. ცხრა მეტოქესთან ბრძოლაში საუცხოოდ იასპარეზა კრასნოიარსკელმა ელენე ახმილოვსკაიამ. მან 8 ქულა დააგროვა და ყველას აჯობა. 6,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ჰოლანდიელი კარი ერეკენი.

სატურნირო ორბიტაზე

წყალბურთი. იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება. მეორე ტურში სსრ კავშირის წყალბურთელები დამარცხდნენ უნგრელებთან ანგარიშით 3:4, მესამე ტურში იტალიელებთან შეხვედრა ფრედ დაამთავრეს — 6:6, ხოლო მეოთხე ტურში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან გამართული მატჩი წააგეს — 3:6.

მაგიდის ჩოგბურთი. ფხენიანში დამთავრდა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრების წევრებმა ბრინჯაოს მედლები მიიღეს, ვაჟთა გუნდი კი მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ახლა ჯერი პირად პირველობაზეა.

ჩოგბურთი. მადრიდში დაიწყო ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. პირველ დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა პორტუგალიის გუნდი 3:0, მეორე დღეს — ლუქსემბურგის ნაკრები — 3:0. მეოთხედფინალში საბჭოთა სპორტსმენები შვეიცარიელებს ეთამაშებიან.

ველორბოლა. იტალიაში გამართული მეოთხე საერთაშორისო ველორბოლა „ჯირო დელა რეჯიონი“ მოიგეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა. გუნდური პირველობაც და პირად ასპარეზობაში პირველი ოთხი ადგილიც მათ დარჩათ. პირველ ადგილზე გავიდა სერგი სუხორუჩენკოვი, მეორეზე — ალექსანდრე ავერინი, მესამეზე — სერგი ნიკიტენკო, მეოთხეზე — საიდ ჰუსეინოვი. აღსანიშნავია, რომ ოთხივე სპორტსმენი კუიბიშეველია.

ცხენოსნობა. ევროპის ჩემპიონმა, სახელგანთქმულმა ინგლისელმა მხედარმა ქალმა ლუსინდა პრაიორ-პალმერმა ბატინტონში (ინგლისი) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა. იგი უძლიერესი იყო ცხენოსნურ სამჭიდში. ეს იყო პრაიორ-პალმერის რიგით მეოთხე გამარჯვება.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია —

4 მაისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მეც თბილისელი ვარ“ (განმეორებით), 18.45 — ქართული სატელევიზიო კომედიური ფილმების კვირეული — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ღვინის ქურდები“, „კუჩხი ბედნიერი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — კონცერტი, 20.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სამნი ერთ ნავში“. პრემიერა. პირველი სერია (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სამნი ერთ ნავში“. პრემიერა. მეორე სერია (მ.).

მეორე პროგრამით

15.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია (ფ.), 17.50 — მეათეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.35 — მხატვრული ფილმი „სიყვარულის დრამა“.

რადიო —

5 მაისი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ, ბედნიერი თაობა“. კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ი. შაპორინი, კამერული ნაწარმოებები, 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — „ახალ მოთხოვნათა დონეზე“, 12.15 — კონცერტი. ა. შავერზაშვილის ნაწარმოებები, 13.40 — სიმღერები მ. ბერნესის შესრულებით, 14.03 — ი. გოლოსოვსკი. „მინდა მჯეროდეს“. რადიოდადგმა, 15.30 — კონცერტი პრესის მუშაკთათვის, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — მაზურკები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „დიდი სიცოცხლის ერთი დღე“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“, 19.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 20.00 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — გ. ლეონიძის ნაწარმოებები ავტორისეული კითხვით, 20.30 — ს. რახმანინოვი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად“, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „ჩვენი კოლეგები“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 22.55 — თბილისის საოპერო თეატრის სოლისტთა კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრი —

4 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **უკვდავება, ბოლერო** (მე-18 აბონ. მესამე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სიყვარული თელებკვეშ**; მეგების თეატრი — **სამგროშიანი ოპერა**; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — **რას იტყვის ხალხი?!**. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **კარებს აჯახუნებენ**.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96,
ლენინის 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ად. მინისტრაციის — ...

ბილოგრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 27-58; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

• КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 • უე 02159 • 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 •